# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძ-ოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 25 მარტი. 2024 წ. №35 (9715) ელ. ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


# აგრესიული ჟურნალისტები ვერ და არ ხვდებიან, სად არის სიმართლე!




იხ. 4 გვ.

რამაზ საყვარელიძე:

## მე ისიც არ ვიცი, აზერბაიჯანულ მედიაში გახმაურებული განწყობილებები რეალურად აზერბაიჯანულია თუ დაკვეთილი?!

კვალი საუკუნეში



5

## შალვა ამირანაშვილი – ქართული ხელოვნებათ-მცოდნეობის კორიფე

მალხაზ დავითაძე:



## მთელი ცხოვრება კრიმინალს ვებრძოდი, ბედის ირონიით კი, პრობაციონერი გავხდი!

### ამბავი უსამართლობასთან მებრძოლი კიდევ ერთი აჭარელი კაცისა

ძვირფასო მკითხველო, მოგეხსენებათ, ავტორიტარული რეჟიმები პატრიოტ მამულიშვილებს დაუნდობლად ებრძვიან და საშინელ წნეხში ატარებენ...

ასე მოხდა ნაციონალების მმართველობის დროსაც. იმ პერიოდში რეპრესირებული, უსამართლოდ დასჯილი, შეურაცხყოფილი და მკვლელი სისტემის მარწუხებს სასწაულებრივად გადარჩენილი ადამიანების შესახებ ჩვენმა საზოგადოებამ უფრო მეტი უნდა იცოდეს.

აჭარის მკვიდრი მალხაზ დავითაძე „ვარდების რევოლუციის" ერთ-ერთი ისეთი მსხვერპლი გახლავთ, რომელმაც თავდაუზოგავად იბრძოლა სააკაშვილის მიერ შექმნილი მახინჯი პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ და ამ ბრძოლას შესწირა ოჯახის სიმშვიდე, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.

ახლახან შემთხვევით გავიცანით ეს რაინდი, პატრიოტი და სულით უტეხი ადამიანი. მალხაზ დავითაძე ასლან აბაშიძის მმართველობის პერიოდში მოღვაწეობდა აჭარის საბაჟო დეპარტამენტში და მთელი ძალით ებრძოდა „კმარას" პროვოკაციებს მას შემდეგ, რაც გაურკვეველი ძალების მიერ დაფინანსებულმა „კმარამ" თარეში დაიწყო მთელ საქართველოში – ვითომცდა წესრიგის დამყარებას ცდილობდნენ, ვითომცდა, აჭარაში ასლან აბაშიძის ავტორიტარულ მმართველობას და მთავრობის კორუმპირებულ წევრებს ამხელდნენ. ვისი „კუდები" იყვნენ „კმარას" წევრები, შემდეგ უკვე ყველასთვის ნათელი გახდა.

იხ. 6 გვ.

საქართველოს შვილი



7

## ივანე ნიკურაძე – ჰიდრავლიკის ტიტანი სამტრედიიდან

## უკეთ, ვიდრე შარშან



თბილისის ტრადიციული გრანდ სლემი ქართველ ძიუდოისტთა ტრიუმფით აღინიშნა – ლაშა გუჯეჯიანის გაწვრთნილმა მასპინძლებმა ტურნირი 4 ოქროთი დაასრულეს და შარშანდელი შედეგი 1 უმაღლესი სინჯის მედლით გააუმჯობესეს.

გუშინ საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ლაშა ბექაურმა (90 კგ, ზედიზედ მეორედ) და გურამ თუშიშვილმა (+100 კგ) აიბიჯეს, საამაყო სპორტული კარიერა კი ავთანდილ ჭრიკიშვილმა და ვარლამ ლიპარტელიანმა დაასრულეს.



თეიმურაზ ჟორჟოლიანი

## კვირის პუბლიცისტური სპანი

3

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ენჯეოები“ ქართველი ხალხის წინააღმდეგ მუშაობენ



ყველა „ენჯეოს“ არ ვგულისხმობ, მაგრამ მათი აბსოლუტური უმრავლესობა პირდაპირ ეწინააღმდეგება ქართულ ინტერესებს, ყოველდღე მუშაობენ სახელმწიფოს ინტერესების, ქართველი ხალხის წინააღმდეგ, ისინი ასრულებენ უცხო ქვეყნების დავალებებს და ინტერესებს, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, **ირაკლი ღარიბაშვილმა** განაცხადა.

„ტრაგედიაა, მით უმეტეს, ჩვენ არ ვიცით, რა საქმიანობას ეწევიან ისინი, უფრო სწორად ჩვენ ვიცით, მაგრამ საზოგადოებამ არ იცის, რა საქმიანობას ეწევიან „ენჯეოები“. ჩვენ კარგად ვიცით, როგორ მონაწილეობდნენ ესა თუ ის „ენჯეოები“ ექსტრემისტული, რადიკალური აქციების დროს, თავად იყვნენ ამ ექსტრემისტული, რადიკალური აქციების ორგანიზებაში ჩართული. გახსოვთ ლგბტ ორგანიზაციის „ენჯეოს“ უკან ვინ იდგა, „ნაცმოძრაობა“, მათი დამფინანსებლები ვინ იყვნენ და ა. შ. ლოგიკური კითხვებია და ამ კითხვებზე პასუხები უნდა გასცენ თავად ამ „ენჯეოებმა“. უნდა მოეხსნას ტაბუ ამ „ენჯეოებს“. წლების განმავლობაში თავს ესხმიან ხელისუფლებას, ეკლესიას, საპატრიარქოს – ყველას და სანაცვლოდ, როცა ჩვენ, საზოგადოება ვსვამთ კითხვებს, ეს არის მიუღებელი, ნურას უკაცრავად, მეგობრებო, ამ ქვეყანაში არ უნდა იყოს არც ერთი ორგანიზაცია დაფარული და დამალული“, – განაცხადა **ღარიბაშვილმა**.

## მეორე ფრონტის გადმოტანის საფრთხე არსად წასულა!

– **არჩევნებში** დამაჯერებლად უნდა გავიმარჯვოთ, რომ ქვეყანამ გააგრძელოს მშვიდობიანი, სტაბილური განვითარება, რომ არ მივცეთ საშუალება ჩვენი ქვეყნის მტრებს და ქვეყნის შიგნით მოქმედ მტრულ ძალებს, რომ ქვეყანამ შეწყვიტოს მშვიდობიანი განვითარება. გურიაში ძალიან მაგარი განწყობაა, ჩვენი საამაყო გურულები არიან მოტივირებულები, რომ ეს არჩევნები ძალიან ძლიერად მოვიგოთ გურიაშიც. ჩვენი მთავარი გზავნილია, რომ უნდა მოვახერხოთ მაქსიმალური მობილიზება, რათა ჩვენმა პარტიამ აიღოს საკონსტიტუციო უმრავლესობა. ესაა ჩვენი მთავარი გზავნილი. ვისაუბრეთ იმ გამოწვევებზე, რომლებიც ახლა არის ქვეყანაში და მთელ მსოფლიოში. ძალიან რთული დროა, მე ჩვენი გუნდის წევრებს ვუთხარი, რომ ის საფრთხე, რაც შარშან და შარშანწინ იყო, მე ვგულისხმობ მეორე ფრონტის გადმოტანის საფრთხეს, არსად წასულა. ამიტომ საჭირო არის, გონივრულად, მშვიდად და მტკიცედ გავიყვანოთ ქვეყანა სამშვიდობოს“, – განაცხადა **ღარიბაშვილმა**.

## დავით ხიდაშელმა ძალიან დიდი საქმე გააკეთა!

**პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, დავით ხიდაშელმა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა.**

ღარიბაშვილის თქმით, დავით ხიდაშელმა სახელმწიფოს ჩამოუტანა რუკები, მნიშვნელოვანი მასალა.

ამასთან, ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, დავით ხიდაშელი ოთხი წლის განმავლობაში ისე მუშაობდა თავდაცვის სამინისტროში, რომ კითხვა არ დასმულა და არ იცის, ახლა რატომ წამოსწიეს ეს საკითხი.

**„დავით ხიდაშელს ჩვენ ჩამოვატანინეთ ძალიან მნიშვნელოვანი რუკები, რომლებიც ქართულ სახელმწიფოს ძალიან გააძლიერებდა. ჩამოვატანინეთ რუკები, მან ძალიან დიდი საქმე გასწია. მადლობა გადავუხადეთ, რადგან ძლიან მნიშვნელოვანი მასალა ჩამოგვიტანა ჩვენ, სახელმწიფოს. თუ არ ვცდები, ოთხი წელი იყო სიმბოლურად მრჩევლის თანამდებობაზე, ზოგადად რომ იცოდეთ, ძალიან კარგად ერკვევა საზღვრის საკითხებში, დელიმიტაციის საკითხებში, რუკებში და ა.შ. ოთხი წელი ისე მუშაობდა, კითხვა არ დასმულა. არ ვიცი, ახლა რატომ ასწიეს ეს თემა“,** – აღნიშნა **ირაკლი ღარიბაშვილმა**.

# მამუკა მდინარაძე: არ გნებავთ კანონი? დაარქვით ამერიკულს რუსული? მაშინ თავად დადეთ, რაში იხარჯება ფული

**საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის მამუკა მდინარაძის განცხადებით, არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის დიდი ნაწილი გაუმჭვირვალეა და საქართველოს მოქალაქეს არ აქვს ინფორმაცია, მეგობარი ქვეყნის ფინანსები და გადამხდელის მიერ გადახდილი ფული საქართველოში რაში იხარჯება.**



მდინარაძის თქმით, საჭიროა ფინანსების გამჭვირვალობა.

**„ჩვენ უარი ვთქვით აგენტების შესახებ ამერიკული კანონის მიღებაზე. ბევრი რამ გავითვალისწინეთ და გავითვალისწინეთ ისიც, რომ ჩვენმა ოპონენტებმა შეძლეს საზოგადოების ნაწილის მოტყუება. შესაბამისად, ამ თემას არ ვუბრუნდებით, მაგრამ ოპონენტებისგან და „ენჯეო“ სექტორის წარმომადგენლებისგან გვქონდა დაპირება, რომ კიდევ უფრო გამჭვირვალე იქნებოდა. ხომ ლაპარაკობდნენ, რომ ისედაც გამჭვირვალეა, „ენჯეოს“ დაფინანსებასთან დაკავშირებით გამჭვირვალობის ნატამალი იცით? ვიცით მხოლოდ პოზიტიური ნაწილი. ის, რაც კარგ საქმეს ხმარდება, ნამდვილად მშვენივრად პიარდება, ამის უამრავი მაგალითი გვაქვს. მაგალითად, როდესაც ისინი ტრენინგს ატარებენ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, ფერმერებს ეხმარებიან, დიდი მადლობა ჩვენს პარტნიორებს ამისთვის.**

**ამ მიმართულებით ძალიან დიდი დაფინანსება მიდის. არ ჩამოვთვლი, უამრავი სფეროა, რომელსაც „ენჯეო“ სექტორი აფინანსებს და კარგ საქმეს ხმარდება. მაგრამ უფრო დიდი ნაწილი არის აბსოლუტურად გაუმჭვირვალე და წარმოდგენა არ აქვს საქართველოს მოქალაქეს, თავისი პარტნიორი, მეგობარი ქვეყნის ფინანსები და გადამხდელის მიერ გადახდილი ფული საქართველოში რაში იხარჯება. ჩვენ გვაინტერესებს ამ ფინანსების გამჭვირვალობა.**

**არ გნებავთ კანონი? დაარქვით ამერიკულს რუსული? საზოგადოების რაღაც ნაწილმა დაგიჯერათ კიდეც? თავად თქვენ გამოდით და დადეთ, რაში იხარჯება ეს ფული. ჩვენ ხომ ვნახეთ ტაივანიდან დაფინანსება, რისკები არის, დავუშვათ, სხვა ქვეყნების ჩარევა საქართველოს არჩევნებში. შეიძლება, ეს მთლად მეგობრული ქვეყნებიც არ იყოს. ჩვენ როდესაც არაფერი ვიცით მეგობარი ქვეყნებიდან დაფინანსებაზე, შეიძლება, უფრო მეტად არ ვიცოდეთ სხვა ქვეყნებიდან დაფინანსებაზე, მათ შორის რომელიც არ არის კეთილგანწყობილი ამ ქვეყნის მიმართ. შესაბამისად, პრევენცია მოხდება მაშინ, როდესაც ყველა ჩვენი მეგობარი, მთავარი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნიდან დაფინანსება და ნებისმიერი დაფინანსება გამჭვირვალე იქნება.**

**მივმართავ „ენჯეო“ სექტორს, განსაკუთრებით მდიდარ „ენჯეოებს“, რომლებიც ხანდახან „ნაცებზე“ მეტი რადიკალიზმით გამოირჩევიან ხოლმე, ამ ყველაფერში, რასაც აკეთებთ, ფული იხარჯება თუ თქვენი ენთუზიაზმით აკეთებთ? ის, რომ ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ მომზადებული კანონის მიმართ უნდა გაილაშქროთ, რაც ეს კანონი გასაჯაროვდება, ტრენინგები რომ ჩატარდა, შემდეგ თვითონ ტრენინგის ჩამტარებლები რომ ამბობდნენ, რუსულ დეზინფორმაციაზე ვატარებდით ტრენინგსო და დამფინანსებელმა რომ თქვა, უფლებებზე იყოო, სინამდვილეში, ჩვენ მესამე და სწორი ვერსია ვიცით, რომ იყო ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ მიმართულ კანონთან დაკავშირებით, წინასწარ გეგმავდნენ რაღაცებს. სიმართლე სად არის, გასაჯაროვდეს, დაიდოს. საზოგადოებას ეცოდინება ყველაფერი, რაში სჭირდებათ დამალვა. პარლამენტის წევრებმა ორი და სამი ლარის შეცდომა რომ დაუშვეს დეკლარაციაში, 1 000-1 000 ლარით დააჯარიმეს ყველა. ისევ ჩვენმა შექმნილმა უწყებებმა. რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი სად იხარჯება, არ უნდა ვიცოდეთ? ძალიან მარტივი ამბავია“,** – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

# პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი ეკონომიკური საბჭოს შემადგენლობა გაფართოვდა

**ქვეყნის ეკონომიკური საბჭო მუშაობას განახლებული ფორმატით განაგრძობს. საბჭოს შემადგენლობა გაფართოვდა და მის მუშაობაში მთავრობის წევრებთან ერთად მონაწილეობენ პარლამენტის წევრები, მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და ბიზნესომბუდსმენი.**

როგორც პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** აღნიშნა, საბჭოს შემადგენლობის გაფართოება გააუმჯობესებს კოორდინაციას და მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში ყველა აუცილებელი მხარის მონაწილეობას შეუწყობს ხელს.



საბჭომ, რომელიც განახლებული ფორმატით პირველად შეიკრიბა, ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით მიმდინარე წელს არსებული პროგრესი და მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების პროცესი განიხილა. საბჭოს წევრებმა სამომავლოდ დაგეგმილ პროექტებსა და საინვესტიციო ინიციატივებზეც იმსჯელეს.

# ლევან მურუსიძე: მე ვარ კეთილსინდისიერი მოსამართლე, მაგრამ ამის შემოწმებას არ აპირებენ, წინასწარ გამოიტანეს განაჩენი, ქმნიან ნოყიერ ნიადაგს მოსამართლეთა გასაყრელად



**წინასწარ როდესაც აცხადებ, რომ სასამართლო სისტემაში არიან კორუმპირებულები და წინასწარ გაქვს მოსაზრება გამოთქმული, მიზანმიმართულად ამბობ, რომ ეს მოსამართლეები არიან გასაყრელი სასამართლო სისტემიდან, აქედან გამომდინარე კეთილსინდისიერება არ გაინტერესებს,** – ამის შესახებ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა, **ლევან მურუსიძემ** მოსამართლეთა კონფერენციის დაწყებამდე განაცხადა.

მურუსიძის თქმით, ე.წ. ვეტინგი კეთილსინდისიერებას არ ეხება.

**„ვეტინგთან“ დაკავშირებით შემიძლია, გითხრათ, რომ ზოგადად, როდესაც რაიმე ცუდი უნდა განხორციელდეს, ყოველთვის წინა პლანზე წამოწევენ ხოლმე კეთილშობილურ მიზანს. მოცემულ შემთხვევაში საუბრობენ კეთილსინდისიერებაზე. „ვეტინგთან“ დაკავშირებით, რაც ჩვენ პრაქტიკა გვაქვს ალბანეთში, უკრაინასა და მოლდოვაში, იქ მოსამართლეების შემოწმება არ ხდება კეთილსინდისიერების მიხედვით, რასაც პრაქტიკა გვაჩვენებს.**

**რეალურად მოხდა ფაქტობრივად სპეცოპერაცია და სასამართლოს დაქვემდებარება კონკრეტული პოლიტიკური ძალის მიმართ. მაგალითად, ალბანეთში ცნობილია, რომ თვითონ ამერიკელი სენატორები აყენებდნენ საკითხს, რომ ამერიკელი მოქალაქეების გადასახადი მენეჯმენტის მიერ გამოიყენება არაკეთილსინდისიერად და იქ არ ხდება მოსამართლეების შემოწმება კეთილსინდისიერების მოტივით, არამედ სურთ, სასამართლო სისტემა დაუქვემდებარონ მოქმედ პარტიას.**

**რაც შეეხება უკრაინას, ჯერ პრეზიდენტ პოროშენკოს დროს მოხდა მოსამართლეთა „ვეტინგი“. ის მოსამართლეები, რომლებიც დატოვეს, მომდევნო პრეზიდენტის დროს განხორციელდა „ვეტინგი“ და გაყარეს. დიდი ალბათობით, ვფიქრობ, შემდეგი პრეზიდენტი როცა იქნება უკრაინაში, იმ მოსამართლეებს გაყრის, რომლებსაც ახლა შეარჩევენ.**

**ჯერ საუბარი მიდიოდა იმაზე, რომ წლების განმავლობაში მიდის სასამართლოს დისკრედიტაცია, მიდის პირდაპირ მოსამართლეების დევნა, დემონიზაცია, ანუ ქმნიდნენ ნოყიერ ნიადაგს იმისთვის, რომ მოხდეს სასამართლო სისტემიდან მოსამართლეების გაყრა. ვისი ინტერესია? ვინც გამოდის და ვინც იძახის, რომ ქვეყანას არ აქვს სასამართლო სისტემა და ესენი არიან კორუმპირებულები, სპეციალურად ქმნიან ამ აჟიოტაჟს და საფუძველს, ის ადამიანები ცდილობენ, დაიქვემდებარონ სასამართლო.**

**მე ვარ კეთილსინდისიერი მოსამართლე. მოვუწოდებ ყველას, პოლიტიკოსები იქნებიან თუ არასამთავრობო სექტორი, ზუსტად იმაზე რომ არის საუბარი, რომ აქ არავინ აპირებს კეთილსინდისიერების შემოწმებას იქიდანაც ჩანს, რომ ძალიან ბევრ მოსამართლეს წინასწარ გამოუტანეს განაჩენი. ხომ შეიძლება მოხდეს ისე, რომ ჩატარდეს „ვეტინგი“ და გავიაროთ კეთილსინდისიერების ტესტი. წინასწარ როდესაც აცხადებ, რომ სასამართლო სისტემაში არიან კორუმპირებულები და წინასწარ გაქვს მოსაზრება გამოთქმული, მიზანმიმართულად იძახი, რომ ეს მოსამართლეები არიან გასაყრელი სასამართლო სისტემიდან, აქედან გამომდინარე კეთილსინდისიერება არ გაინტერესებს“,** – განაცხადა მურუსიძემ.

მისივე თქმით, მოსამართლეთა 32-ე კონფერენციაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები უნდა აირჩიონ.

# სტოლ-ტენ-ბერ-გმა და-გვიი-ბა-რა...

**გასულ კვირას მოსკოვთან ახლოს დატრიალდა ტრაგედია, რომელმაც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, საგონებელში ჩააგდო მთელი მოაზროვნე კაცობრიობა – კარგად მომზადებულმა, ავტომატური და ცეცხლგამჩენი იარაღით აღჭურვილმა ტერორისტულმა ჯგუფმა ცეცხლი გაუხსნა თეატრსა და საკონცერტო დარბაზში შეკრებილ მშვიდობიან ადამიანებს. საერთაშორისო ორგანიზაციებმა, სახელმწიფოებმა, მათ შორის, საქართველომაც, გულწრფელი სამძიმარი გამოუცხადეს რუს ხალხს ამ ტრაგედიის გამო.**

რუსული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, უშიშროების სამსახურის მიერ ბრიანსკში დაკავებულია ექვმიტანილთა ოთხკაციანი ჯგუფი, რომელიც რუსეთიდან უკრაინაში გადასვლას ცდილობდა. მართალია, არაბთა ისლამურმა სახელმწიფომ (აი სი სი) დანაშაული საკუთარ თავზე აიღო, მაგრამ საეჭვოა, რუსეთის ხელისუფლებამ მომენტი ხელიდან გაუშვას და მასში უკრაინის მონაწილეობის ძიება არ დაიწყოს. მით უფრო, თუ დაკავებულები უკრაინის საზღვრის გადაკვეთას მართლაც აპირებდნენ. ნებისმიერ შემთხვევაში, მომხდარი კიდევ უფრო გაასასტიკებს რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებას და, რაც მთავარია, კიდევ უფრო გაამწვავებს ისედაც დაძაბულ საერთაშორისო ვითარებას.

* * *




**გასულ კვირას საკმაოდ დაიძაბა აშშ-ისრაელის ურთიერთობები. ამერიკის კონგრესში განაცხადეს, რომ დროა ისრაელმა დაამთავროს ზეწოლა პალესტინის ღაზას სექტორში ჩასანგრებული ჰამასელი ტერორისტების წინააღმდეგ, საომარი მოქმედებები შეწყვიტოს და მოლაპარაკებებზე იფიქროს, ხოლო პრემიერი ნეთანიაჰუ გადადგეს და პოლიტიკას ჩამოშორდესო. კონგრესმენების ამ რიტორიკას შეუერთდა პრეზიდენტი ჯო ბაიდენიც.**

ისრაელ-ამერიკის და ისრაელ-ჰამასის ურთიერთობები როგორ განვითარდება, ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ვფიქრობ, ჩვენთვის ერთობ ყურადსაღები უნდა იყოს თავად ბინიამინ ნეთანიაჰუს პასუხი კონგრესის ამ განცხადებაზე: მე ამ პოსტზე ისრაელის ხალხმა ამირჩია, ისრაელის სახელმწიფოს ვემსახურები და „სახლში მაშინ წავალ“, როცა ამას ჩემი ხალხი გადაწყვეტსო.

**მოკლედ, ბატონმა ბიბიმ ძია ჯოს საკმაოდ არაორაზროვნად უთხრა, ყველამ თავის აშაღლარ მამიდას მიხედოს, ჩვენ თავს ჩვენ თვითონ მოვუვლითო.**

ისრაელამდე და პრემიერ ნეთანიაჰუს თავხედურად მამაცურ გამოთქმებამდე ჯერ კიდევ ბევრი გვიკლია. მხოლოდ ერთს ვიტყვი ჩვენი იმ ემიგრანტების დასაფიქრებლად, სამშობლო კანტიკუნტად, მხოლოდ არჩევნების წინ რომ აგონდებათ – ისრაელი ფერფლისგან აღადგინეს და უძლიერეს სახელმწიფოდ აქციეს სწორედ ბედის უკუღმართობით მთელ მსოფლიოში გაფანტულმა ებრაელმა ემიგრანტებმა!

ემიგრანტები იმადაც გავიხსენე, რომ უკვე რამდენი ხანია, არ მთავრდება ჩვენი ულტრაოპოზიციის ვაი-უშველებელი ბოლო წლის განმავლობაში „ივანიშვილის ხელისუფლების უსუსურობით“ საქართველოდან გაქცეული 800 ათასი მოქალაქის გამო. დავიწყოთ იმით, რომ ოფიციალური სტატისტიკის თანახმად და ულტრების გასახარად, მხოლოდ ბოლო წლის განმავლობაში საქართველოდან გავიდა არა 800, არამედ 967 ათასი ადამიანი. ამავე ოფიციალური მონაცემებით, ამავე პერიოდში საქართველოში შემოვიდა 969 ათასი ადამიანი. ანუ, ემიგრაციიდან (ვიმეორებ, ემიგრაციიდან და არა უცხოეთში მოგზაურობიდან!) დაბრუნდა 2000 საქართველოს მოქალაქე. პატივცემული ოპოზიციის საყურადღებოდ იმასაც ვიტყვი, რომ სამ მილიონნახევრიან საქართველოში ამდენი მოქალაქის უცხოეთში წასვლა-წამოსვლა მათ ფინანსურ შესაძლებლობებზეც მიუთითებს. მით უმეტეს, რომ აგერ, ჩვენს მოძმე იტალიაში 1 კგ პური 2,5-დან 4-მდე, ხოლო შაქარი 3 ევრო ღირს. ოპო-ხაზესი (ბატონი ლევან ხაბეიშვილის) რომ არ მერიდებოდეს, ამ მონაცემებს მშობლიურ ლარებში გადავიყვანდი.

**პატივცემული ოპონენტების საყურადღებოდ იმასაც ვიტყვი, რომ ბოლო ხანებში ერთი შეხედვით ეს მართლაც გრანდიოზული მისვლა-მოსვლა, ძირითადად, გამოწვეულია ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო რეჟიმის შემოღებით. არის სხვა მიზეზებიც. ახლა იქნებ ვინმე მიშამოყვარულმა მიპასუხოს, რატომ და როგორ გარბოდნენ უცხოეთში სააკაშვილის ბატონობისას, როცა ევროკავშირის ქვეყნებთან სავიზო რეჟიმი არ გვქონდა? ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ამ ემიგრაციული სტატისტიკის თაობაზე ოპოზიციონერმა დეპუტატებმა „მომაკვდინებელი“ შეკითხვები დაუსვეს პარლამენტში მიწვეულ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ გომელაურს.**

**ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, მინისტრი გულში რას ფიქრობდა, მაგრამ ოპონენტებს ერთობ თავაზიანად, უპასუხა, მგონი, რაღაც გეშლებათ, შინაგან საქმეთა სამინისტრო ამგვარ სტატისტიკას არც ქმნის და არც აანალიზებს, ამაზე სხვა უწყებები მუშაობენო. სწორედ მისი ეს ინტელიგენტური პასუხი იქცა ახალი ცრუ აჟიოტაჟის საბაბად - მინისტრი თავს არიდებს კითხვებზე პასუხის გაცემას!**

**სხვათა შორის, ოპოზიციონერი დეპუტატების მიწვევით პარლამენტში თავისი შვიდსაათიანი სტუმრობისას ბატონმა ვახტანგ გომელაურმა დაწვრილებით ისაუბრა სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულთა გახსნის კოეფიციენტის ზრდაზე, დანაშაულის შემცირების ტენდენციაზე, ქვეყანაში ნარკოდამოკიდებულთა რაოდენობისა და ნარკოდანაშაულის მატებაზე. მოკლედ, ბევრ სასიამოვნო თუ ფრიად დამაფიქრებელ მოვლენაზე... და ამ დროს პარლამენტის სხდომათა დარბაზში არ იმყოფებოდნენ სწორედ ის დეპუტატები, ვინც მინისტრი პარლამენტში მიიწვია!**

* * *

**გასულ კვირას კიდევ ერთხელ გააქტიურდა კარგა ხნის წინათ მიჩუმებული ე. წ. „მაჩალიკაშვილის საქმე“. შეგახსენებთ, რომ თემირლან მაჩალიკაშვილი 2017 წლის დეკემბერში სოფელ დუისში მიმდინარე სპეცოპერაციისას ერთ-ერთი სპეცრაზმელის ნაჩქარევ და უპასუხისმგებლო ქმედებას შეეწირა.**

„მაჩალიკაშვილის საქმეზე“ სტრასბურგის სასამართლომ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 2019 წლის სექტემბერში გამოიტანა. დაადგინა, რომ სუს-ის, გამოძიებისა და ქართული სასამართლოს მიერ დაშვებული იყო სერიოზული დარღვევები. შესაბამისად, საქართველოს მთავრობას ხარჯების ასანაზღაურებლად 15 და მაჩალიკაშვილის ოჯახისთვის საკომპენსაციოდ 10 ათასი ევროს გადახდა დააკისრა. სამწუხაროდ, მაჩალიკაშვილების ოჯახის ტრაგედიას ვეღარაფერი შეცვლის, მაგრამ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება დიდი ხანია შესრულებულია. ამიტომ, ამ საქმის გაცოცხლების, მისი ხელახალი პოლიტიზების მცდელობა თვით ყოვლის მკადრებელი ქართული რადიკალური ოპოზიციისთვისაც კი ცოტა უცნაურად გამოიყურება.



კიდევ უფრო უცნაურად, აღმაშფოთებლად და სამარცხვინოდ გამოიყურება ქართველი ოპოზიციონერი პოლიტიკოსების საქციელი საერთაშორისო ასპარეზზე. გასულ კვირაში საქართველოს წარმომადგენლობამ უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად ევრონესტში შეიტანა განაცხადი საქართველოს ევროკავშირში გაწევრების მხარდასაჭერი რეზოლუციის მისაღებად. წმინდა ბიუროკრატიული თვალსაზრისით, განაცხადის სარეგისტრაციოდ აუცილებელი იყო მასზე განმცხადებელი ქვეყნების წარმომადგენელთა უმრავლესობის (სულ ათი) ხელმოწერა. როგორც აღმოჩნდა, დოკუმენტს ხელი მოაწერა საქართველოს მმართველი პარტიის ოთხივე წარმომადგენელმა და სამივე მოლდოველმა. არ მოაწერა არც ერთმა ქართველმა ოპოზიციონერმა და უკრაინის არც ერთმა წარმომადგენელმა. შესაბამისად, ვერ მოგროვდა ათი აუცილებელი ხელმოწერა და ვერ მოხერხდა ასამბლეის რეზოლუციის მიღება.

სამაგიეროდ, ქართულმა ოპოზიციამ, კერძოდ, ქალბატონმა წითლიძემ მოახერხა და ევრონესტის დეპუტატების ნაწილს გააცნო სააკაშვილის მიმართვა: საქართველოს ხელისუფლებისთვის დასავლეთი საძულველია, რუსეთი მეგობარია, უკრაინა დაუძინებელი მტერია, ანგელოზი სააკაშვილი პუტინის ტყვეა... ვაშაძემ და მისმა ამფსონებმა საკუთარი საქციელი იმით გაამართლეს რომ არ იცნობდნენ დოკუმენტს და მათთვის არ უთხოვიათ მასზე ხელმოწერა. არ უთქვამთ, რომ ყველაფერი შესანიშნავად იცოდნენ, დოკუმენტს იცნობდნენ და უკრაინელი კოლეგებიც თვითონვე გადაიბირეს; რომ, მოქმედებდნენ და მოქმედებენ პრინციპით, რაც უარესი ქვეყნისთვის, მით უკეთესი ნაცმოძისთვის. დამაფიქრებელია, მაგრამ გასაგებია, საიდან უნდა მოდიოდეს ევრონესტში უკრაინის ერთ-ერთი წარმომადგენლის განცხადება – „ჩვენ მხარს არ დავუჭერთ საქართველოს, სანამ იგი რუსეთის მხარდამჭერია“. ანუ რუსული პური, რუსული ნავთობი რუსეთიდან ევროკავშირის ქვეყნებში გრიალით მიედინება; რუსული იარაღი, რუსული ჯარი უკრაინაში ბელარუსიდან შედის, პოლონეთი გზას უკეტავს უკრაინიდან ევროპისკენ მიმავალ პურის მდინარეს და ამ დროს, თურმე, უკრაინის დაუძინებელი მტერი ყოფილა საქართველო.

„ევრონესტის კაზუსთან“ დაკავშირებით ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, როგორ ცდილობდა მთელი საქართველოს მოტყუებას მომხდარით გახარებულ-გაბადრული ქალბატონი ანი წითლიძე – მერე რა, რომ მოუცლელობის და გაუგებრობის გამო განაცხადზე ხელის მოწერა ვერ მოვახერხეთ, ევრონესტში ხომ 110 დეპუტატია და აქედან ჩვენ მხოლოდ ათი ხელმოწერა გვჭირდებოდაო! დიახ, საჭირო იყო ათი ხელმოწერა, მაგრამ მხოლოდ საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის წარმომადგენლებისა და არა ზოგადად 110-დან ათისა!

* * *



**გასულ კვირაში დამთავრდა ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის ვიზიტი ამიერკავკასიაში. ამ ტურნეს ფარგლებში იგი თბილისსაც ეწვია და საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდა.**

ბატონ სტოლტენბერგს გულში რა ედო, ნამდვილად არ ვიცი მაგრამ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე ასეთი რამ ბრძანა: „საქართველო მნიშვნელოვანი ქვეყანაა ნატოსთვის და ის გახდება ალიანსის წევრი. კანდიდატის სტატუსი, რომელიც მიენიჭა საქართველოს ევროპული საბჭოს მიერ, გააძლიერებს კეთილდღეობის მისწრაფებებს და ამ მიმართულებით სულისკვეთებას ქვეყანაში. ჩვენ მხარდამხარ ვივლით წინ, ნატოს მიმართულებით. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ საქართველოში უნდა განხორციელდეს, გაგრძელდეს ადგილობრივი რეფორმები სამართლის უზენაესობის მიმართულებით, თავისუფალი და ღია საპარლამენტო არჩევნების ჩათვლით. ბატონო პრემიერ-მინისტრო, კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას მასპინძლობისთვის და პირადი ერთგულებისთვის ნატო-საქართველოს პარტნიორობის მიმართ“.

ამ ყოვლად შაბლონურ განცხადებაზე დიდი ყურადღების დათმობა არც ღირდა, რომ არა მისი ოპოზიციური მედიის „თარგმანი“. თურმე ეს ყოფილა „სტოლტენბერგის გაფრთხილება „ქართული ოცნებისთვის“: „ჩაატარეთ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები! 2024-ის არჩევნებს დასავლეთი გამადიდებელი შუშით დააკვირდება და არც ერთ გადაცდომაზე თვალს არ დახუჭავს. ოპოზიციისთვის ეს გზავნილი წითელი შუქი და გაფრთხილებაა, რომ თუ საქართველოს ნატოში და ევროკავშირში გაწევრება უნდა, ჩატარებული არჩევნები ამის წინაპირობა გახდება.“

იხ. 4 გვ.

# ცუდ მთქმელსაც კარგი შემფასებელი უნდა!



**ფსიქოლოგისა და პოლიტოლოგის რამაზ საყვარელიძის განცხადებით, საქართველო-აზერბაიჯანს შორის არსებული ხიდის ჩატეხვით დაინტერესებულია რუსეთი, შესაბამისად, ასეთი საფრთხის არსებობის ფონზე, ზედმეტი პრეტენზიების დამატება ამ პროცესზე, სწორედ რუსეთის წისქვილზე წყლის მიშვება იქნება, მით უმეტეს, რომ არ ვიცით აზერბაიჯანულ მედიაში გახმაურებული ეს განწყობილებები რეალურად აზერბაიჯანული განწყობილებებია, თუ დაკვეთილია. მისივე თქმით, პიროვნების შექმნაში და თემის ამოწევაში შეიძლება სულ არ მონაწილეობდეს რუსეთი, მაგრამ იმავე პუტინმა და მისმა ქსელმა გამოიყენოს ეს პირობები, თუკი აქ დაუფიქრებელ ნაბიჯებს გადადგამს და ვხედავთ, რომ აზერბაიჯანი დაუფიქრებელ ნაბიჯს ადგამს საქართველოს მიმართ.**

# აგრესიული ჟურნალისტები ვერ და არ ხვდებიან, სად არის სიმართლე!

## რამაზ საყვარელიძე:

## მე ისიც არ ვიცი, აზერბაიჯანულ მედიაში გახმაურებული განწყობილებები რეალურად აზერბაიჯანულია თუ დაკვეთილი?!

**— ბატონო რამაზ, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის თითქოს არის კარგი მეგობრობა და პარტნიორობა, მაგრამ მაინც ჩანს ბზარი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში. თუკი გავიხსენებთ სააკაშვილი-ალიევის ურთიერთობას, იყო როგორც პოზიტივი, ასევე ნეგატივი. არც შევარდნაძესა და მამა ალიევის ურთიერობა იყო უღრუბლო, მაგრამ ინარჩუნებდნენ სტრატეგიულ პარტნიორობას. დღეს, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში გაჩნდა ბზარი. როგორ ხსნით იმ ვითარებას რაც აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის არის?**

— გავშალოთ რუკა და დავადოთ იმ ქვეყენას ხელი, რომელთან ურთიერთობაში ბზარი არ არის. ალბათ, გაგვიჭირდება ასეთი ქვეყნის პოვნა და არა მარტო ჩვენ, არამედ ნებისმიერ ქვეყანას გაუჭირდება სხვა ისეთი ქვეყნის პოვნა, რომელთანაც ყველაფერი ჰარმონიულია. გაუგებარი არ არის პრობლემების არსებობა, თან, პრაქტიკულად, ლაპარაკი არის ორ ქვეყანაზე და ორივეს რეგიონალური ლიდერობის ამბიცია აქვთ. შეიძლება ეს ფაქტორიც იდგეს ამ ურთიერთობაში.

თუმცა, მეეჭვება, რადგან მამა ალიევმა უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა, როცა ნავთობსადენიდან შემოსავლზე უარი თქვა საქართველოს სასარგებლოდ. მას ეკუთვნოდა ჩვენს ტერიტორიაზე გამავალი ნათვთობსადენის თანხა, მაგრამ უარი თქვა. ასე რომ, შევარდნაძე-ალიევის მმართველობის დროს ჩვენ უფრო სერიოზული დამოკიდებულება გვქონდა, რომელსაც წინ დაძაბულობაც უძღოდა, მაგრამ როგორც დაკაცებული ხალხი, მომავლისკენ იხედებოდნენ და მაქსიმუმს აკეთებდნენ საიმისოდ, რომ თავიანთ ქვეყანას გამოდგომოდა ეს ურთიერთობები. თითოეული აკეთებდა მაქსიმუმს.

მე მგონია, რომ ანალოგიური მდგომარეობა გრძელდება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემები არაა. რა თქმა უნდა, იარსებებს, ოღონდ ერთი რამ ცხადია — ორივე მხარე მაქსიმალურად ვცდილობთ ხოლმე, რომ არსებული პრობლემები ჩავსვათ კეთილმეზობლური ურთიერთობების ჩარჩოში, სტილში, რომ ამ პრობლემებმა, ზოგადად, არ გააფუჭოს ურთიერთობები. თორემ, ვიმეორებ, ლიდერობის სურვილი რახან აქვს აზერბაიჯანს, ძალიან ძნელი იქნება ვინმემ მოაცვლევინოს ფეხი იმ პოზიციიდან, რომელიც უკავია აზერბაიჯანს.

**— მით უმეტეს დღეს, როცა ლამისაა თავიდან დგება სომხეთის საკითხი. ვხედავთ, რომ ფაშინიანი თავიდან აპირებს ყარაბაღის საკითხის დასმას...**

— და, სომხეთს მოუწოდებს ომისთვის მოემზადეთო. რამდენად ჭკვიანური გადაწყვეტილებაა, ეს ერთი საკითხია, მაგრამ ფაქტია, რომ ალიევისთვის მყარი მშვიდობა ჯერ არ დამდგარა და არა მგონია, რომ ამ ვითარებაში მას ქართული თემატიკისთვის ეცალოს. თუმცა, მაინც ეცდება, რომ ქართული თემა მისი ქვეყნის ცხოვრებაში არ გახდეს არეულობების და დაპირისპირებების წყარო.

**— ის, რომ აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის პრობლემები დაგროვდა, ამის ერთ-ერთი მაგალითია ჩაკეტილი საზღვარი, რომელიც აზერბაიჯანმა ჯერ კოვიდის გავრცელების მოტივით დაკეტა და დღემდე ამ მხრივ ვითარება არ შეცვლილა. უკვე მეორე წელია საზღვარი დაკეტილია და რამდენიმე დღის წინ გააგრძელეს სახმელეთო საზღვრის ჩაკეტვა 1 ივლისამდე. ამ რეჟიმში გრძელდება საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობა. აზერბაიჯანული მედია ამას იმით ხსნის, რომ საქართველოში მოქმედებს გარკვეული ჯგუფები, სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურები, რომლებიც მოქმედებენ აზერბაიჯანის წინააღმდეგ და ღიად ამბობენ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ და ამ ქვეყნის სპეცსასამხურებმა თავიდან უნდა აიცილონ დასავლური პროვოკაცია აზერბაიჯანის წინააღმდეგ და არ გახდნენ ამ ბინძური თამაშის მონაწილეები. საკმაოდ მძიმე განცხადებაა და ბრალდებაც...**

— გეთანხმებით, რომ განცხადება არის მძიმე, მაგრამ არ ვიტყოდი, რომ ბრალდებაა. გაფრთხილება უფროა, ვიდრე ბრალდება, რადგან ბრალდებას, ალბათ, უფრო სხვა ჟღერადობა ექნებოდა. ის, რომ დასავლეთი აზერბაიჯანს უტრიალებს, ამაზე ბევრი ფაქტი მიუთითებს. ასე რომ, აზერბაიჯანის ეს განწყობილება ჰაერიდან მოტანილი არ არის და შესაბამისად, ჩვენთან საჩხუბრად გამოგონილი თემა არ არის. თემა არსებობს და




ამ თემაში, ბუნებრივია, რომ მან თავისი მოითხოვოს.

**— აზერბაიჯანული მედია ავრცელებს ინფორმაციას, რომ აზერბაიჯანის წინააღმდეგ აგენტურა თბილისში თავისუფლად მოქმედებს და ღიად მიუთითებენ, რომ მეზობელი და მით უმეტეს მეგობარი ქვეყანა არ უნდა იყოს ჩართული ანტიაზერბაიჯანულ ქმედებაში. გამოცემა წერს, რომ მას შემდეგ, რაც საქართველო გახდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი, ეს საქმიანობა კიდევ უფრო გაფართოვდა და გახდა აგრესიული, რომ თანხები ირიცხება ქართულ ბანკებში, იქ ხდება განაღდება და აზერბაიჯანში გადადის. საკმაოდ ხმამაღალი ბრალდებებია, როდესაც ასე ღიად ხდება მეზობელი სახელმწიფოს დადანაშაულება დივერსიაში, საჭიროა ამის მტკიცებულება?**

— არა, არ ვფიქრობ და ერთი მარტივი მიზეზის გამო. როცა დაიწყო კარიბის კრიზისი, კენედი და ხრუშჩოვი დაეჯახნენ ერთმანეთს, ლამის, მესამე მსოფლიო ომი უნდა დაწყებულიყო. მაშინ, ძირითადად, პოლიტიკოსების დონეზე მიდიოდა ეს პროცესი, როცა ორივე მხარემ მეტ-ნაკლებად კომპრომისი იპოვეს, გადადგეს ნაბიჯი დათმობისკენ და ჩათავდა კონფლიქტი. მაშინ კენედიმ თქვა ასეთი რამ: „კიდევ კარგი სიენენი არ იყო, თორემ ომს ვერ გადავრჩებოდით“. ანუ, ჟურნალისტური ამოცანა ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობის ფართო ფენებისთვის თითქოს თავისუფალ მედიას უწყობს ხელს, მაგრამ ამასთანავე კონფლიქტებს აღვივებს. აი, ფეისბუქი არის თავისუფალი სივრცე, ჩავხედოთ, უკონფლიქტოა ეს თავისუფალი სივრცე?

**— ყველაზე აგრესიული და კონფლიქტურია განსაკუთრებით ქართული სოციალური ქსელი...**

— თავისუფალი, ამ შემთხვევაში ჟურნალისტური სინონიმია. იმიტომ, რომ თუ უფრო მეტ თავისუფლებას მივცემთ ჟურნალისტებს, საქმეს მიიყვანენ კონფლიქტამდე. მათთვის სკანდალურობა პროფესიულად თითქოს მისაღებია, მაგრამ სკანდალურობამ შეიძლება ქვეყნები ერთმანეთს დააჯახოს და მძიმე შედეგები გამოიღოს თითოეული მათგანისთვის, ეს მათ თვალსაწიერში ვერ ხვდება. ვერ ხვდებიან და არც ხვდებიან. ნუ, მათი სამრეკლოდან მთავარია სიმართლე ითქვას და მერე, ამ სიმართლეს ვინ როგორ მოუვლის, ან სად არის სიმართლე, ეს არ აინტერესებთ. იმ ინფორმაციას ავრცელებს, რაც გაიგო და გაიფიქრა, მაგრამ იმას ხომ არ აკვირდება, ეს რეალური ინფორმაცია არის თუ გადაჭარბებულია?

ასე რომ, მე, მაგალითად, უფრო უპრიანად მიმაჩნია, რომ ეს მიმდინარე პროცესები შეფასდეს როგორც ჟურნალისტური გადაჭარბება, ჟურნალისტური კეკლუცობა, ან შეიძლება დაკვეთაც არსებობს სხვა წყაროებიდან და ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველო-აზერბაიჯანს შორის ხიდის ჩატეხვა ძალიან უნდა რუსეთს და ბევრ რამეს გაიღებს სამაგისოდ. ასეთი საფრთხის არსებობის ფონზე, ზედმეტი პრეტენზიების დამატება ამ პროცესზე, რუსეთის წისქვილზე წყლის მიშვება იქნება და ვიმეორებ, მე ისიც არ ვიცი, აზერბაიჯანულ მედიაში გახმაურებული ეს განწყობილებები რეალურად აზერბაიჯანული განწყობილებებია, თუ დაკვეთილია!..

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

# სტოლ-ტენ-ბერ-გმა და-გვიი-ბა-რა...

(მესამე გვერდიდან)

**მე რომ ნაცმოძრაოგის გულშემატკივარი ვიყო, აუცილებლად ვეტყოდი, რომ ასეთი აშკარად ცრუ ქმედებებით, თვალშისაცემი პრიმიტივიზმით ამომრჩევლების გულის მოგება და ხელისუფლებაში მისვლაზე ოცნებაც კი სრული სისულელეა; ასეთ ქმედებებში დახარჯული ფული — კიდევ უფრო დიდი სისულელე.**

* * *

**გასულ კვირას გრძელდებოდა სომხეთ-აზერბაიჯანის მოლაპარაკებები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მთლიანად ამიერკავკასიის და, ბუნებრივია, საქართველოსთვისაც.**

ფაშინიან-ალიევის ბოლო შეხვედრაზე საუბარი შეეხო მთიანი ყარაბაღის სამი სოფლის აზერბაიჯანისთვის გადაცემის საკითხს. ჯერჯერობით საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის, მაგრამ პრეზიდენტ ფაშინიანის ბოლო დროინდელი თავმდაბლური საქციელი მაფიქრებინებს, რომ იგი ალიევის უკლებლივ ყველა მოთხოვნას დათანხმდება. ბუნებრივია, ფაშინიანის „კაიბიჭობა“, მშიშრობა ან მეზობლის დაუოკებელი სიყვარული აქ არაფერ შუაშია. თუ თურქეთთან და აზერბაიჯანთან ჩაკეტილი საზღვრების გახსნა, მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების გაფართოება, სომხეთის საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანა და მნიშვნელოვან ქვეყნად გადაქცევა უნდა, სწორედ ასე უნდა მოიქცეს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სომეხი ამომრჩევლების რისხვას დაიმსახურებს და პრეზიდენტობასაც დაემშვიდობება.

**როგორც სანდო წყაროდან შევიტყვე, გასულ კვირას ჩინეთში დიდი შეშფოთება გამოუწვევია ქალბატონ თინა ხიდაშელის მკაცრ განცხადებას საქართველო-ჩინეთის ურთიერთობებისა და, ზოგადად, ჩინური ტირანიული მმართველობის შესახებ. ჯერჯერობით უცნობია, გადადგება თუ არა ჩინეთის პრეზიდენტი, მაგრამ ფაქტია, რომ ზანზარებს ჩინეთის დიდი კედელი. მართალი გითხრათ, ვერ ვიჯერებდი ქალბატონი თინას რაღაც ფინანსურ ურთიერთობებს ტაივანის რომელიღაც საეჭვო რეპუტაციის მქონე ფირმასთან. თუმცა, როგორც ილიკო ჩიგოგიძე გრძანებდა, „სიყვარულს რას გოუგებ.“**

გასულ კვირას კიდევ ბევრი საინტერესო, სასიხარულო, დამაფიქრებელი და ტრაგიკული რამ მოხდა, მაგრამ, მოდი, ამით დავასრულოთ: ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაულს გილოცავთ, ჩემო ძვირფასო მუსლიმო თანამემამულეებო! მრავალს დავესწროთ ერთად, ძმობით, სითბოთი და სიყვარულით!



**თეიმურაზ ქორიძე**

# აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი – 125



## ქართული ხელოვნებათმცოდნეობის კორიფე და ერთ-ერთი ფუძემდებელი

**მიმდინარე წელს გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის კორიფეს და ერთ-ერთ ფუძემდებელს შალვა ამირანაშვილს დაბადებიდან 125 წელი შეუსრულდა.**

შალვა ამირანაშვილი ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებელია. იგი იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საფრანგეთის სააზიო საზოგადოების, საერთაშორისო მუზეუმის საბჭოსა და სსრ კავშირის მუზეუმის ნაციონალური კომიტეტის ნამდვილი წევრი, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგე. 1959 წ. მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

შალვა იასონის ძე ამირანაშვილი დაიბადა 1899 წ. 26 მარტს (ძველი სტილით) ქ. ონში, პედაგოგის ოჯახში. საშუალო განათლება ფოთის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო, რომელიც 1917 წელს დაამთავრა.

1918 წ. მან სწავლა დაიწყო ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების (ფილოსოფიის) ფაკულტეტზე ხელოვნების ისტორიისა და თეორიის განხრით.

საქართველოში, რუსეთის მე-11 არმიის შემოსევის (1921 წ. თებერვალი) დროს, ივ. ჯავახიშვილის მოწოდებით, უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად შალვა კოჯორთან იცავდა თბილისს. აქ ექვთიმე თაყაიშვილის მოთხოვნით ის გაამწესეს საქართველოს საგანძურის შესაფუთად და აღსაწერად, მისი გადარჩენის მიზნით. როგორც კომისიის მდივანმა, შალვა ამირანაშვილმა აღწერა საგანძური და გადაიტანა თბილისის რკინიგზის სადგურზე – იმ საგანგებო მატარებელში, რომელსაც მიჰქონდა დამოუკიდებელი საქართველოს ოფიციალური საბუთები და არქივი ბათუმში. ექვთიმე თაყაიშვილი და შალვა ამირანაშვილი მერე უნდა გაჰყოლოდნენ სამგზავრო მატარებლით ამ განძს, მაგრამ შალვა ამირანაშვილი ვერ გაჰყვა, რადგანაც კოჯორში და მუზეუმების საცავებში გაციებულს ფილტვების ანთება დაემართა.

უნივერსიტეტში სწავლის დროს შალვა ამირანაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ძველი ქართული ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის ძეგლთა შესწავლას. მისი პედაგოგები ქართული მეცნიერების კორიფეები იყვნენ, რამაც უდავოდ დიდი როლი შეასრულა მის მეცნიერად ჩამოყალიბებაში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1922 წ.) ივ. ჯავახიშვილისა და გ. ჩუბინაშვილის წარდგინებით დატოვეს ხელოვნებათმცოდნეობის კათედრაზე პროფესორის წოდების მოსამზადებლად.

1923 წ. მივლინებულ იქნა მოსკოვსა და ლენინგრადში, სადაც სწავლობდა ბიზანტიურს, ძველ რუსულ და ახლო აღმოსავლეთის ხელოვნებას, პროფესორების: დ. აინალოვის, ბ. ფარმაკოვსკის, ლ. მაცულევიჩის, ნ. სიჩოვის, აკადემიკოსების – ი. ორბელის და ნ. მარის ხელმძღვანელობით.

**შალვა ამირანაშვილმა მონაწილეობა მიიღო იმ კომისიის (კომისიის თავმჯდომარე დამიანე ჯგუშია, წევრები საქართველოს მხრიდან: ნ. ჟორდანია, აკ. შანიძე, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, ს. კაკაბაძე და სხვ.), მუშაობაში, რომელსაც დაევალა რუსეთში ცარიზმის დროს გატანილი საქართველოს კუთვნილი განძეულის (ხელნაწერები, ოქრომჭედლობის ნიმუშები, სტელები, არქეოლოგიური ნივთები და სხვ.) აღწერა-დაბრუნება.**

მის მოვალეობას წარმოადგენდა სადავო ძეგლების, კერძოდ კი, საქართველოდან გატანილი ბიზანტიური ხელოვნების ნიმუშად მიჩნეული ძეგლების, ქართული წარმომავლობის მეცნიერული დამტკიცება, რაც სულ ახალგაზრდა მეცნიერის მიერ წარმატებულად იქნა განხორციელებული. საქართველოსთვის დასაბრუნებელი განძეულისთვის გამოიყო რკინიგზის ვაგონი, რომელსაც შალვა ამირანაშვილი გამოჰყვა როგორც რწმუნებული და მცველი. იმ დროის ძალიან არეულ და საშიშ პერიოდში, თითქმის დაუცველი განძის ასე წამოღება დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული. თავისი გამჭრიახობით, მოიფიქრა და ვაგონს თეთრი საღებავით, დიდი ასოებით დააწერა: „В вагоне тифозные“ (რაც იმ დროში, შავი ჭირის შემდეგ, ყველაზე საშიში გადამდები და სასიკვდილო დაავადება იყო) და 24 წლის ყმაწვილმა მშვიდობიანად ჩამოიტანა განძი თბილისში.

1925 წლიდან 1932 წლამდე შალვა ამირანაშვილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სამხატვრო აკადემიის დოცენტი; 1932 წ. აირჩიეს პროფესორის თანამდებობაზე. 1929 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია: „უბისი, მასალები ქართული კედლის მხატვრობის ისტორიისათვის“; აღნიშნულ ნაშრომს სამეცნიერო წრეებმა მაღალი შეფასება მისცეს და 1936 წლის 21 ივნისს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო სხდომაზე შალვა ამირანაშვილმა წარმატებით დაიცვა ხელოვნებათმცოდნეობის სამეცნიერო ხარისხი. მისი ოფიციალური ოპონენტები იყვნენ გ. ჩუბინაშვილი და ალ. დუდუჩავა. ეს იყო პირველი სადოქტორო დისერტაცია, რომელიც დაცულ იქნა ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში, იმავე წელს შალვა ამირანაშვილს მიენიჭა პროფესორის წოდებაც.

შალვა ამირანაშვილი მოღვაწეობდა ქართული კულტურის ძეგლთა შესწავლის და გადარჩენის საქმეში.

1937 წ. იგი დაინიშნა ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან არსებულ კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსის მოადგილედ. ამ პერიოდში შალვა ამირანაშვილმა, სხვა მოღვაწეებთან (გ. ბოჭორიძე, ნ. ბერძენიშვილი და სხვ.) ერთად, აღწერა საქართველოს სხვადასხვა კუთხის არქიტექტურული და მცირე ხელოვნების ძეგლები, ეკლესიები, სტელები, წარწერები და ა.შ. დამატებით შალვა ამირანაშვილმა შეადგინა იმ საგანძურის სია, რომელიც გატანილი იყო საფრანგეთში საქართველოს სხვადასხვა პუნქტებიდან (ბორჯომი, ქუთაისი, ზუგდიდი და ა.შ.).

1932-1952 წლებში შალვა ამირანაშვილი იყო თსუ ხელოვნებათმცოდნეობის, ხოლო 1958 წლიდან გარდაცვალებამდე – ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგე. 1953-1957 წლებში ხელმძღვანელობდა ხელოვნების ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის გაერთიანებულ კათედრას. 1932-1954 წლებში იყო სამხატვრო აკადემიაში ხელოვნების ისტორიის კათედრის გამგე.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმში (ადრე „მეტეხი“) შალვა ამირანაშვილი 1934-1937 წწ. აღმოსავლეთის განყოფილების, 1937-1939 წწ. კი ფერწერის განყოფილების გამგეა. 1939 წ. 21 აპრილს დაინიშნა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორად. ამ ხნიდან გარდაცვალებამდე იგი სათავეში ედგა ქართული კულტურის საგანძურს და ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო მას. დირექტორის პოსტზე მისი ხელმძღვანელობით მრავალი უაღრესად საინტერესო ღონისძიება განხორციელდა. 1943 წლამდე იგი იყო საქართველოს მუზეუმის დირექტორიც.

1944 წ. საფრანგეთის ლიდერის, გენერალ დე გოლისა და ი. სტალინის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შალვა ამირანაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საფრანგეთიდან ეროვნული განძის დაბრუნებაში. მოსკოვში ყოფნის დროს, პარიზში გამგზავრების მომზადებისას, მან მთავრობას სთხოვა ნებართვა, რომ საქართველოში ჩამოეყვანა თავისი მასწავლებელი ექვთიმე თაყაიშვილი, რაც დადებითად გადაწყდა. 1946 წ. კი მისი უშუალო თაოსნობით მუზეუმში გაიხსნა „ქართული ოქრომჭედლობის გამოფენა“.

ჯერ კიდევ 1927 წელს შალვა ამირანაშვილი აქვეყნებს ნარკვევს „ქართული საერო მხატვრობის გენეზისისათვის“ („ქართული მწერლობა“, ტ.6-7, თბილისი), 1939 წელს კი – სტატიას „შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ძველ ქართულ მხატვრობაში“; („საიუბილეო კრებული“, თბილისი). აღნიშნული შრომები წარმოადგენენ ქართული საერო მხატვრობის ძეგლების შესწავლის პირველ ცდას.

1937 წელს ქართულ, ხოლო 1940 წელს რუსულ ენაზე გამოდის შალვა ამირანაშვილის მონოგრაფია „ბექა ოპიზარი“. იმავე წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნდა შალვა ამირანაშვილის „ირანის დაზგური ფერწერა“ და 1941 წელს „ირანული ფერწერა“, რომელშიც განხილულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცული ირანული მხატვრობის ყაჯარული ნიმუშები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 1944 წელს გამოსული „ქართული ხელოვნების ისტორიის“ პირველი ტომი, რომელშიც ნაჩვენებია ქართული ხელოვნების განვითარება უძველესი ეპოქიდან არაბთა შემოსევამდე. მასში განხილულია წინაქრისტიანული ქართული ხელოვნების მანამდე უცნობი მრავალი ძეგლი. 1950 და 1963 წლებში მოსკოვში, რუსულ ენაზე გამოდის „ქართული ხელოვნების ისტორია“, ხოლო 1961 და 1971 წლებში მისი შევსებული გამოცემა ქართულ ენაზე, სადაც ქართული ხელოვნება წარმოჩენილია პალეოლითის ხანიდან XX საუკუნემდე. ამ გამოცემის პოლონური თარგმანი 1973 წელს დაიბეჭდა. ეს შრომა დღემდე რჩება ერთადერთ ნარკვევად, სადაც სრულადაა განხილული ქართული ხელოვნების განვითარების გზა.

1961 წელს პარიზში გამოიცა შალვა ამირანაშვილის „ქართული მინანქარი“. 1963 წელს გამოდის ამ შრომის იტალიური, ხოლო 1965 წელს ინგლისური გამოცემები. ეს იყო ფაქტობრივად ქართული ხელოვნების უნიკალური შედევრების პირველი პუბლიკაცია ევროპულ ენებზე, მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული გამოკვლევით, რაც ქართული ხელოვნების ძეგლების თანამედროვე მსოფლიო ასპარეზზე გასვლას ნიშნავდა.

შალვა ამირანაშვილი იყო პირველი, ვინც დაასაბუთა ქართული მინანქრის ორიგინალურობა და ადგილობრივი წარმოება. წიგნში განხილულია მინანქრის დამზადების რთული ტექნოლოგია, განსაზღვრულია მათი ადგილი მსოფლიო ოქრომჭედლობის ისტორიაში.

1971 წელს ჩეხოსლოვაკიაში ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და ჩეხურ ენებზე გამოიცა შალვა ამირანაშვილის „ქართული მხატვრული ლითონქანდაკება (ანტიკური პერიოდიდან XVII საუკუნის ჩათვლით)“.

მეცნიერის ინტერესები არ იფარგლებოდა მხოლოდ ქართული ხელოვნებით. იგი ბევრს მუშაობდა ბიზანტიური და ძველი რუსული ხელოვნების მეცნიერულ შესწავლაზე. ორიგინალურია მისი გამოკვლევა ნოვგოროდნერედიცას კედლის მხატვრობის შესახებ, გამოცემული 1932 წელს ფრანგულად. ეს ნარკვევი ფაქტობრივად პირველი წყაროს მნიშვნელობისაა, რადგანაც ნერედიცას ეკლესია მეორე მსოფლიო ომის დროს მთლიანად დაინგრა.

შალვა ამირანაშვილი აქტიურად იღებდა მონაწილეობას ქვეყნის სამხატვრო-შემოქმედებით ცხოვრებაში; დიდ ინტერესს იჩენდა თანამედროვე ხელოვნების მიმართაც, რისი შესანიშნავი დასტურია მისი მრავალრიცხოვანი წერილები, რეცენზიები და საჯარო გამოსვლათა სტენოგრაფიული ჩანაწერები. მისი უკანასკნელი შრომები ძველი ქართული ხელოვნების თვალსაჩინო ძეგლებს მიეძღვნა: 1972 წ. დაისტამბა „ხახულის კარედი“, 1974 წ. – „ქართველი მხატვარი დამიანე“.

შალვა ამირანაშვილი ხელოვნების მუზეუმში მრავალი გამოფენის ავტორი და სულისჩამდგმელი იყო. მისი თაოსნობით ეწყობოდა უცხო ქვეყნების კულტურული ძეგლების გამოფენები, აგრეთვე საქართველოს მხატვრებისა თუ მოქანდაკეების პერსონალური და თემატური ექსპოზიციები. აღსანიშნავია რეპრესირებული მხატვრის, დიმიტრი შევარდნაძის პერსონალური გამოფენის მოწყობა. განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედების მსოფლიო ასპარეზზე გატანაში. ევროპის მრავალ ქვეყანაში მოეწყო მის მიერ ინიცირებული ნიკო ფიროსმანაშვილის გამოფენები: საფრანგეთში „ლუვრის“ დარბაზებში, იუგოსლავიაში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში და სხვაგან.

შალვა ამირანაშვილის ღვაწლი მრავალჯერ დაფასდა სახელმწიფო ჯილდოებით: მათ შორის აღსანიშნავია 1946 წელს მიღებული შრომის წითელი დროშის ორდენი, ხოლო 1954 წელს – ლენინის ორდენი.

შალვა ამირანაშვილი გარდაიცვალა 1975 წელს.

**1990 წ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმს აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის სახელი მიენიჭა, რაც მეცნიერულ მემკვიდრეობასთან ერთად საწინდარია იმისა, რომ მისი სახელი სამუდამოდ დარჩება ქართული კულტურის ისტორიაში.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

# მალხაზ დავითაძე: მთელი ცხოვრება კრიმინალს ვებრძოდი, ბედის ირონიით კი, პრობაციონერი გავხდი!

(პირველი გვერდიდან)

**2004 წლის მარტში, „ვარდების რევოლუციიდან“ რამდენიმე თვეში, აჭარას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე და გენერალურ პროკურორად სულ ორიოდე თვის დანიშნული ირაკლი ოქრუაშვილი მიადგნენ.**

ჩვენი რესპონდენტი იგონებს, რომ იმ პერიოდში აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ასლან აბაშიძე რამდენიმე დღით მოსკოვში იყო წასული...

**მალხაზ დავითაძე:** *„ქობულეთის მერმა ნუგზარ ხალვაშმა მაცნობა, ბარამიძე და ოქრუაშვილი მოემართებიან ბათუმისკენ შეიარაღებული რაზმითო.*

როგორც შევიტყვე, სააკაშვილი მაშინ წყალწმინდაზე იმყოფებოდა და წინდაწინ ოქრუაშვილი და ბარამიძე გამოაგზავნა – **„გაათავისუფლეთ“ აჭარა და მე მერე შემოვალო!**

დილის 6 საათზე ბარამიძე და ოქრუაშვილი ჩოლოქზე გამოჩნდნენ. დაახლოებით, 200 კაცი ახლდათ. ვიცოდით, რომ ყველანი ფარულად იყვნენ შეიარაღებულნი, ამიტომ ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად გავემართე მათკენ და ვუთხარი: გეპატიჟებით ჩემთან, სახლში, ადამიანურად მოვილაპარაკოთ, დაველოდოთ ბატონი ასლანის ჩამოსვლას და ყველაფერი მერე გადავწყვიტოთ-მეთქი, მაგრამ მიპატიჟება არ მიიღეს და უკან გაბრუნდნენ. სააკაშვილს ეს, რა თქმა უნდა, შეატყობინეს, მაგრამ, იმ დღესვე აღარ წამოსულა მაშინ აჭარისკენ.

მეორე დღეს ასლან აბაშიძე დაბრუნდა ბათუმში და მერე ყველამ ვნახეთ, რაც მოხდა – მოხდა ე.წ. რევოლუცია! სინამდვილეში, მთავრობის დამხობა აჭარაში“!

* * *

**ამ ამბიდან 20 დღეში, როგორც კი აჭარის ხელისუფლება ძალადობით შეიცვალა, დაიწყო მალხაზ დავითაძისა და მის ოჯახის დევნა!**

ერთ დღესაც სამსახურიდან ავტომანქანით სახლისკენ მიმავალი მალხაზი პოლიციის თანამშრომლებმა გააჩერეს და ავტომანქანის ჩხრეკისას ხელყუმბარა და ნარკოტიკული ნივთიერებები „აღმოუჩინეს“.

არადა, გამოძიებისას დადგინდა, რომ მასზე ოფიციალურად იყო გაცემული ცეცხლსასროლი იარაღი ტარების უფლებით, რომელიც, იმ კონკრეტულ მომენტში, დავითაძის სახლში ინახებოდა, ხოლო ნარკოტიკებს ის არასდროს მოიხმარდა. ამის მიუხედავად, გამოძიებამ დავითაძეს სსსკ-ის 260 მუხლის პირველი ნაწილით და 236-ე მუხლის I და II ნაწილებით სასჯელის ზომად 7 თვით პატიმრობა მიუსაჯა.

7 თვის შედეგ, ციხიდან გამოსულ მალხაზ დავითაძეს მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები უტიფრად დაემუქრნენ: გაეცალე აქაურობას, საქართველოდანაც წადი თორემ, რაც მოგივა, შენს თავს დააბრალეო და დავითაძემ ჯერ დედაქალაქს შეაფარა თავი და მოსკოვში გასამგზავრებელ ვიზას ელოდებოდა.

**მალხაზ დავითაძე:** *„ვიზის მიღების მერე მოსკოვში გავფრინდით. ცხოვრების დაწყება უცხო ქვეყანაში არ იყო ადვილი, ბევრი წინააღმდეგობა, ეკონომიკური გაჭირვება და ხიფათი გავიარეთ მე და ჩემმა მეუღლემ სამ მცირეწლოვან შვილთან ერთად, მაგრამ ყველაფერს ართულებდა ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა – სისუსტეს ვგრძნობდი, უმადობას, დეპრესიას.*

*სანამ ეს ამბები მოხდებოდა, მანამდე წამალი არ ვიცოდი რა იყო...*

**აჭარაში რომ დამიჭირეს, ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებთან და სხვა თანამდებობის პირებთან ერთად, დაახლოებით, კვირაზე მეტი ბათუმის ციხის ჯოჯოხეთურ საკანში ჩაგვსვეს, სადაც იატაკიც კი არ იყო. გაუსაძლისი სიცივე და სინესტე ძვალსა და რბილში ატანდა. საშინლად გავცივდი მაშინ, მაგრამ ექიმი და მკურნალობა ჩვენთვის აკრძალული იყო!!!**



## ამბავი უსამართლობასთან მებრძოლი კიდევ ერთი აჭარელი კაცისა



**ჩემი დაპატიმრების და დევნის მთავარი მიზანი გახლდათ ფული, რომელიც ეგულებოდათ ჩემთან და რომ არ აღმომაჩნდა ეს დიდძალი ფული, უკან ხომ არ დაიხევდნენ და დაიწყეს ჩემი და ჩემი ოჯახის დევნა-შევიწროება. აშკარა იყო, რომ განადგურებას მიპირებდნენ.**

*ასე აღმოვჩნდი მცირეწლოვანი შვილებით მოსკოვში, სადაც არასახარბიელო ცხოვრებისეული პირობებისა და ჩრდილოეთის მკაცრი კლიმატის გამო, ციხეში გადატანილმა ავადმყოფობამ თავი გამოავლინა. გავხდი ავად, სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გადამიყვანეს და ანალიზების საფუძველზე ტუბერკულოზი დამიდგინეს. ისე ფართოდ იყო დაავადება ორგანიზმში გავრცელებული, რომ გარდაუვალი გახდა ოპერაცია. ფილტვის ნაწილი მომკვეთეს.*

*იმ ხანებში მოსკოვში ქართული დიასპორის წარმომადგენლები და პოლიტიკური დევნილები საქართველოს საელჩოსთან აქციებს მართავდნენ საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ. საავადმყოფოდან გამოსვლისა და მცირეოდენი გამოჯანმრთელების შემდეგ მეც შევუერთდი ამ აქციებს“...*

* * *

**ამის შემდეგ დაიწყო ახალი პროვოკაციის აგორება მალხაზ დავითაძეზე.**

**საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2005 წლის 31 მარტს კრწანისის რაიონის პოლიციის განყოფილებაში შესულია შეტყობინება მოქალაქე ზაურ დემეტრაშვილის ცემის ფაქტზე, თუმცა შეტყობინების ოქმში არაა მითითებული, ვისგან შევიდა ეს შეტყობინება.**

**მალე თავად დემეტრაშვილი მიმართავს პოლიციას და ამბობს, რომ ის შუაღამისას მალხაზ დავითაძემ და მისმა მეგობრებმა სცემეს, დაემუქრნენ სიცოცხლის მოსპობით, წაართვეს 100 ლარი და გაიტაცეს ოჯახში არსებული მიკროტალღური ღუმელი.**

**იმის მიუხედავად, რომ დემეტრაშვილმა განმარტა, დავითაძე და მისი მეგობრები დამესხნენ თავსო, საქმეში დავითაძის გარდა მისი არც ერთი ე.წ. „მეგობრის“ სახელი, როგორც ჩხუბის მონაწილის, არაა ნახსენები.**

საქმეში წარმოდგენილია დაზარალებულის, ვინმე გუდიაშვილის დაკითხვის ოქმი, სადაც იგი წერს, რომ 2005 წლის 1 აპრილს ტელეფონზე დაურეკა მეზობელმა ჯონი მამედოვმა და აცნობა დემეტრაშვილზე განხორციელებული თავდასხმის შესახებ, რის შემდეგაც იგი წასულა დემეტრაშვილთან, რადგან, თურმე, გუდიაშვილი დემეტრაშვილის სახლში, მიკროტალღურ ღუმელში ინახავდა 4600 დოლარს.

საქმის მასალების მიხედვით, ასევე ნათელი ხდება, რომ გამოძიებას ორ დღეში მოუპოვებია „უტყუარი“ მტკიცებულებანი და ამ საქმეში მალხაზ დავითაძის ბრალეულობა გამოუკვეთავს, თუმცა მაშინ, „რატომღაც“, არ დაწყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა მალხაზ დავითაძეზე, დაკითხვაზეც კი არ დაუბარებიათ 2006 წლის მარტამდე, ანუ დანაშაულის „გახსნიდან“ ერთი წლისა და ერთი თვის განმავლობაში.

მალხაზ დავითაძე მთელი ეს დრო ხელვაჩაურის რაიონის სოფელ შარაბიძეებში ცხოვრობდა მამისეულ სახლში.

დოკუმენტაციის მიხედვით, ამ ხნის მანძილზე არავითარი საგამოძიებო საქმიანობა არ წარმოებულა შესაბამისი სამსახურების მიერ.

2006 წლის აგვისტოში უკვე მოსკოვში მყოფი მალხაზ დავითაძე ეჭვმიტანილად ცნეს, 7 სექტემბერს კი ბრალდებულად.

განუკითხაობა და ზემდგომი ძალების მიერ დავალებების შესრულების აუცილებლობა სასამართლო სისტემაში იმდენად იყო ფეხმოკიდებული, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ და სააკაშვილის მონა მოსამართლეებმა არათუ აღკვეთეს გამოძიების ორგანოების მიერ კერძო პირზე განხორციელებული უკანონობა, არამედ პირიქით – უტიფრად დააკანონეს. საქალაქო სასამართლო ბრმად ენდო ე.წ მტკიცებულებების სანდოობას და გამამტყუნებელი განაჩენი დააფუძნა ეჭვებსა და ვარაუდებზე, როგორც წინასწარი გამოძიების პროცესში, ასევე სასამართლო განხილვის პროცესშიც.

ყველაფერ ამას მოწმობს გამოძიების მასალები.

* * *

**მალხაზ დავითაძე:** *„მოსკოვში ყოფნის პერიოდში ქართულმა მართლმსაჯულებამ დაუსწრებლად გამასამართლა და მომისაჯეს 8 წელიწადი. მე რომ აქციებზე დამინახეს, გაღიზიანდნენ და შეკერეს ვინმე დემეტრაშვილის საქმე.*

*გაგიკვირდებათ, მაგრამ არც კი ვიცი, სად, როდის და როგორ მოხდა ზაურ დემეტრაშვილის ცემა.*

*ნაციონალებისთვის მე არც პირველი ვიყავი და სამწუხაროდ, არც უკანასკნელი.*

*ასე ითხზვებოდა და იკერებოდა მაშინ სისხლის სამართლის აბსურდული საქმეები.*

*საქართველოში დაბრუნებული, მალე, ჩხუბის, ცემის და ფულის გატაცების ყალბი ბრალდებით კვლავ ციხეში აღმოვჩნდი. ალბათ, სრულად მოვიხდიდი 8 წელიწადს, ჩაუდენელი დანაშაული რომ არ მეღიარებინა“.*

* * *

**დოკუმენტურ მასალებში ვიპოვეთ აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ამჟამად საქართველოს ხალხთა თანაგრძნობის ფონდის თავმჯდომარის ბადრი მელაძის წერილი.**

მსგავსი შინაარსის წერილები მრავლადაა შეწყალების კომისიის სახელზე გაგზავნილი: „2004 წლის მაისში სააკაშვილის უკანონო ხელისუფლებისა და სამხედრო შენაერთების წარმომადგენლებმა მოახდინეს აჭარის ხელისუფლების ძალისმიერი დამხობა. რის შედეგადაც კანონიერი ხელისუფლების ნაწილი აღმოჩნდა განდევნილი ემიგრაციაში, ნაწილი კი სააკაშვილის მიერ შექმნილი ფაშისტური რეჟიმის ციხეებში. ერთ-ერთი მათგანი არის მალხაზ დავითაძე...

პატიმრობის შემდეგ ის ჩამოვიდა ქალაქ მოსკოვში, სადაც აქტიურად ჩაერთო ქართული დიასპორის საქმიანობაში.

ჩვენ არაერთხელ მოვაწყვეთ გამოსვლები და კონფერენციები სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის წინააღმდეგ, რის გამოც მალხაზ დავითაძეს ხელმეორედ აღუძრეს სს საქმე, რაც, ჩემი აზრით, იყო პასუხი მალხაზ დავითაძის აქტიურობისა რეჟიმის წინააღდეგ.

**ყოველივე ზემოაღნიშნულის მიხედვით, ვთვლი, რომ მალხაზ დავითაძის წინააღმდეგ აღძრული საქმე არის არაკანონიერი და პოლიტიკური, რადგან მალხაზ დავითაძე არის წესიერი, პატიოსანი, პატრიოტი პიროვნება“,** – წერს **ბადრი მელაძე.**

* * *

**მალხაზ დავითაძე:** *„მე, ვინაც მთელი ცხოვრება დამნაშავეობას და კრიმინალს ვებრძოდი, ბედის ირონიით, პრობაციონერი გავხდი.*

*მაშინ ციხეში ბევრი უდანაშაულო პატიმარი იხდიდა სასჯელს, რომლებსაც ცრუ სამართალდამცველებმა ჩემსავით შეუთხზეს საქმე და სააკაშვილის დილეგებში დაღუპეს, ზოგს სახლკარი გააყიდვინეს, ზოგს ოჯახი დაურბიეს, გაძარცვეს, ვითომ ბიუჯეტის შესავსებად, სინამდვილეში, სად მიდიოდა ეს თანხები, კაციშვილმა არ იცის.*

*ციხიდან გამოსულმა, ვიფიქრე, ჩემს საქმეს გავასაჩივრებ-მეთქი, მაგრამ, იმდენად შერყეული მქონდა ჯანმრთელობა, აღარ შემეძლო სასამართლოებში სირბილი... მოგეხსენებათ, ყველაფერი დროსა და ენერგიას მოითხოვს.*

*ფინანსურადაც ძალიან გვიჭირდა და დღესაც გვიჭირს – სახელმწიფო სამსახურში მუშაობისას არ დამიგროვებია არავითარი სიმდიდრე, არც მიფიქრია ამაზე, თუმცა, არ ვნანობ, მე ვშრომობდი ჩემი აჭარისთვის, ჩემი საქართველოსთვის და არა სიმდიდრის მოსახვეჭად“.*

* * *

**მძიმე რეპრესიაგამოვლილი, დევნა-შევიწროების გამო მეორე ჯგუფის ინვალიდად ქცეული მალხაზ დავითაძე დღეს აჭარაში უხმაუროდ და უპრეტენზიოდ ცხოვრობს...**

შესაძლოა, რადიკალური ოპოზიციის და განსაკუთრებით არამზადა ნაცების თვალში მალხაზ დავითაძე აქამდე მოძალადედ და ყაჩაღად ითვლება, თუმცა, მთელმა აჭარამ და დანარჩენმა საქართველომ იცის, რომ ის სინამდვილეში სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის ერთ-ერთი მსხვერპლი გახლავთ!

რამდენი ასეთი ზნეობრივად და ფიზიკურად დასჯილი კაცია დღეს საქართველოში!

**იმათი მორალური რეაბილიტაცია, უბრალო დაფასებაც კი არ მომხდარა, არადა, იმ მძიმე პერიოდში მალხაზ დავითაძისნაირი ადამიანები სიცოცხლის, ოჯახის დაღუპვის რისკის ფასად იცავდნენ თავიანთ კუთხეს, მთელ საქართველოს და გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მათნაირების მხრებზე იდგა ყოველთვის და დგას დღემდე ჩვენი ქვეყანა.**

**ასეთ ქართველებს მეტი თანადგომა და გამხნევება სჭირდებათ!**

**ნაზი ქობალია,**
**ირანდა კალანდაძე**




# „მითი და სინამდვილე“,

## ანუ ჰიდრავლიკის ტიტანი სამტრედიიდან

**დიდი ხანი არაა, რაც ქართველმა მკითხველმა იხილა გამომცემლობა „უნივერსალის“ მიერ გამოცემული პროფესორ რევაზ ქავთარაძის მეტად საინტერესო წიგნი ივანე ნიკურაძეზე.**

**წიგნი „ივანე ნიკურაძე მითი და სინამდვილე“ ეძღვნება ქართული საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილ, გასულ საუკუნეში გერმანიაში მოღვაწე შესანიშნავ მეცნიერს – ივანე ნიკურაძეს. მასში მოყვანილია ისტორიული ცნობები და აღწერილია მისი მეცნიერული მოღვაწეობა.**

ივანე ნიკურაძე ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი, მაგრამ ვისაც კი შეხება ჰქონია ჰიდრო-აეროდინამიკისა და ჰიდრავლიკის საკითხებთან, ყველამ იცის, რომ ამ დარგში ივანე ნიკურაძის სახელსა და მისი კვლევის შედეგებს გვერდს ვერავინ აუვლის.

**საყოველთაოდაა ცნობილი „ნიკურაძის გრაფიკი“ და „ნიკურაძის ფორმულები“, რომელთაც მსოფლიოში უამრავი ადამიანი იყენებს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით თუ პროექტირების პროცესებში და რომლებიც მან, კლასიკური ექსპერიმენტების შედეგად მიიღო გიოტინგენის უნივერსიტეტში. იქ, სადაც მოღვაწეობდნენ მსოფლიო დონის მეცნიერები: კარლ ფრიდრიხ გაუსი, დავიდ ჰილბერტი, მაქს პლანკი, მაქს ბორნი, ლიუდვიგ პრანდტლი (მისი უშუალო ხელმძღვანელი) და სხვ.**

**ამის შემდეგ, პრანდტლის რეკომენდაციით მან მოღვაწეობა გრესლაუს უნივერსიტეტში პროფესორის ამპლუაში გააგრძელა.**

წიგნში მოყვანილია ჰიდროდინამიკის იმ მდგომარეობის მოკლე ანალიზი, რომელიც ნიკურაძის ცნობილ კვლევებამდე არსებობდა. ეს კი მკითხველისთვის გასაგებს ხდის ქართველი მკვლევარის მეცნიერულ დამსახურებებს, რომელმაც მსოფლიოში სახელი სულ თვრამეტი გამოქვეყნებული ნაშრომით მოიხვეჭა!

1923 წელს ივანე ნიკურაძეს მიენიჭა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. იმ დღიდან მას მეცნიერული სამყარო იოჰან ნიკურაძის სახელით იცნობს. მისი დისერტაციის სატიტულო ფურცელზე აღნიშნული იყო: **„იოჰან ნიკურაძე სამტრედიიდან (საქართველო), რეფერენტი ლ. პრანდტლი, ფილოსოფიის დოქტორის მისანიჭებლად. ნაშრომს ავტორი უძღვნის მამას.“**

სწორედ მამა ილია ნიკურაძე იყო დიდად მოწადინებული შვილები სასწავლებლად უცხოეთში რომ გაეგზავნა და ამ საქმეში დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად მან შეძლო, არა მხოლოდ ივანეს, არამედ მისი უმცროსი ძმის, ალექსანდრეს გაგზავნაც საზღვარგარეთ სასწავლებლად.

ძმები: ივანე და ალექსანდრე სამტრედიაში მრავალშვილიან ოჯახში დაიბადნენ. ოჯახში 9 შვილი იზრდებოდა და იმის მიუხედავად, რომ, როგორც შემდგომ მოიხსენიებდა თვით დიდი მეცნიერი, მათი მამა „რკინიგზის დირექტორი“ იყო, ოჯახს ეკონომიურად მაინც უჭირდა.

**1894 წელს დაბადებული ივანე 1919 წელს იმ რჩეულ 70 ახალგაზრდას შორის მოხვდა, რომლებიც ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის რეკომენდაციითა და ნიკო ნიკოლაძის თანადგომით, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ უცხოეთში სასწავლებლად გაგზავნა.**

გავიდა დრო და 1981 წელს აშშ-ის ეკონომიკის სამინისტრომ და ამერიკის საინჟინრო საზოგადოებათა ენერგეტიკის კომისიამ ჰიდროდინამიკაში აქტიურად მოღვაწე 600 სპეციალისტის გამოკითხვით დაადგინა, რომ ჰიდროდინამიკაში გასული საუკუნის გამორჩეული, ყველაზე უფრო საფუძვლიანი და ნაყოფიერი სამი ფიზიკური თეორიიდან ერთი მთლიანად ეკუთვნის ქართველ მეცნიერს სამსონ ქუთათელაძეს, ავტორს ნაშრომისა „დუღილის პროცესში თბოცვლის კრიზისის ჰიდროდინამიკური მექანიზმი“. დანარჩენი ორის, ცნობილი მეცნიერების: პრანდტლისა და კარმანის თეორიების დასაბუთებაში კი გადამწყვეტი როლი ქართველი მეცნიერის ივანე ნიკურაძის ექსპერიმენტულმა კვლევებმა შეასრულა.

**თავის დროზე საქართველოში დაბრუნების დიდი სურვილისა და იმ პერიოდისთვის ახლად დაარსებული ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან, ქართველ კოლეგა-მეცნიერებთან ინტენსიური კონტაქტების, მიწერ-მოწერისა და თხოვნების მიუხედავად, ივანე ნიკურაძეს სამშობლოში დაბრუნება არ ეწერა. იგი გიოტინგენში გარდაიცვალა 1979 წელს, სადაც დაიკრძალა კიდეც სამშობლოს მონატრებული, მეცნიერული ღვაწლით დამაშვრალი ჩვენი დიდი მამულიშვილი.**

აი, ამ დიდი მოაზროვნის, სასიქადულო მეცნიერის ივანე ნიკურაძის საზოგადოებისთვის უფრო ახლოს გასაცნობად დაიწერა ეს წიგნი, რომელშიც საკმაო ადგილი აქვს დათმობილი ცნობებს მისი ძმის, ივანესთან შედარებით კიდევ უფრო ნაკლებად ცნობილ, ასევე გერმანიაში მოღვაწე ალექსანდრე ნიკურაძის მეცნიერული ღვაწლის შესახებ – ელექტროტექნიკაში, დიელექტრიკებისა და ელექტრონების ფიზიკაში, რომლის სამეცნიერო დონესა და კვლევების შედეგების მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ მისი წიგნი „თხევადი დიელექტრიკები“ გერმანულიდან 1936 წელს ითარგმნა და საბჭოთა კავშირში გამოიცა.

აღსანიშნავია რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა, განსაკუთრებით ინსტიტუტის ადმინისტრაციის მონდომება, რომელთა მხარდაჭერითაც გამოიცა პროფესორ რევაზ ქავთარაძის წიგნი „ივანე ნიკურაძე, მითი და სინამდვილე“.

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ რევაზ ქავთარაძეს მოუწია ხანგრძლივი მუშაობა გერმანიის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში, სადაც ძირითადი საქმიანობის პარალელურად, წლების განმავლობაში გაწეული შრომის შედეგად თავი მოუყარა ძმები ნიკურაძეების შესახებ ჯერ კიდევ გადარჩენილ დოკუმენტურ მასალას, გერმანიაში შეხვდა ნიკურაძეების შთამომავლებს, ყოფილ თანამშრომლებს, ნაცნობებს, გააანალიზა სახელმწიფოსა და ნიკურაძეების საოჯახო არქივებში არსებული მასალები და აღწერა სახელოვანი ქართველი მეცნიერების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი უცნობი თუ დღემდე არასწორად გაგებული ფაქტები და მოვლენები. აღსანიშნავია, რომ ავტორის მიერ გამოთქმული ყველა მოსაზრება, რომელიც არ ემთხვევა მისი წინამორბედებისას, დასაბუთებულია სათანადო წყაროებითა და დოკუმენტებით.

საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში კარგად ცნობილი მეცნიერი რევაზ ქავთარაძე მსოფლიოს სხვადასხვა ცნობილ უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობს. იგი წლების განმავლობაში იყო მოსკოვის ბაუმანის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი. ამჟამად იგი პეკინის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მიწვეული პროფესორია, რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა. მისი წიგნი „ივანე ნიკურაძე მითი და სინამდვილე“ არა მხოლოდ ინფორმაციულობით, არამედ თხრობის მაღალმხატვრული სტილითაც გამოირჩევა. იკითხება მსუბუქად, თხრობა არის თანმიმდევრული და საინტერესო, სიუჟეტები და ფაქტები, იმის მიუხედავად, რომ მასში მათემატიკური და ტექნიკური ფორმულები და ტერმინები საკმაოდაა, არასპეციალისტი მკითხველისთვისაც კი გასაგები და ადვილად აღსაქმელია.

სამწუხაროდ, წიგნი მცირე ტირაჟით გამოიცა, რის გამოც იგი ბევრმა დაინტერესებულმა სპეციალისტმა და მკითხველმა ვერ შეიძინა. დიდი იმედი გვაქვს, რომ უახლოეს ხანებში წიგნის მეორე გამოცემას ვიხილავთ.

**2024 წელს ამ დიდი მეცნიერის დაბადებიდან 130 წელი სრულდება. ეს წიგნი შეიძლება საიუბილეო თარიღისთვის მიძღვნაც კი იყოს ბატონი ივანესთვის იმიერში, ქართველი ხალხისგან, რაც, ალბათ, მისთვის, საქართველოს მონატრებული კაცისთვის, მართლაც უდიდესი საჩუქარი იქნებოდა.**

**ლევან ჯაფარიძე,**
აკადემიკოსი

# ჯამლეტ ხუხაშვილის არდავიწყება

**2024 წლის 5 აპრილს ერთი წელი სრულდება ქართველი და ებრაელი ხალხის საამაყო შვილის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, მწვრთნელის, ერთ-ერთი საუკეთესო ლეგენდარული სპორტული კომენტატორის, თბილისის საპატიო მოქალაქის, ღირსების და საპრეზიდენტო ბრწყინვალების ორდენების კავალერის, სპორტის დამსახურებული მოღვაწის, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმის აღორძინების საბჭოს თავმჯდომარის ჯამლეტ ხუხაშვილის გარდაცვალებიდან.**

სწორედ ამ გამორჩენილი ადამიანის ხსოვნას მიეძღვნა საღამო, რომელიც 20 მარტს შედგა დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმში. ხსოვნის საღამოს ჩატარების ინიციატორი და ორგანიზატორი იყო ასევე ცნობილი მოღვაწე, მეცენატი, წარსულში შესანიშნავი მოცეკვავე და ქორეოგრაფი, **ჯამლეტ ხუხაშვილის** უახლოესი მეგობარი, ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის საპატიო თანათავმჯდომარე **თამაზ ათანელი.**

**ჯამლეტ ხუხაშვილისა** და **ევა ბაბალაშვილის** (ჯამლეტის მეუღლე) უამრავმა მეგობარმა მოიყარა თავი მუზეუმში, რათა პატივი მიეგო ამ დიდი მოღვაწის ხსოვნისათვის. საღამოს უძღვებოდა ჟურნალისტი და შოუმენი **ზაზა ალექსიძე.** მუზეუმის დირექტორმა **გივი ღამბაშიძემ** შეკრებილთ მოუთხრო მუზეუმის დაარსების ისტორიის შესახებ, გააცნო მისი ექსპოზიცია და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა უნიკალური ისტორია. **აღნიშნა, რომ დიდია ჯამლეტ ხუხაშვილის დამსახურება მუზეუმის შენობის რესტავრაცია-აღორძინების საქმეში, რადგან, მისი მიმართვის საფუძველზე, მუზეუმი სრულად გაარემონტა და განაახლა ბიძინა ივანიშვილმა და „ქართუ ფონდმა“. შემდეგ შეკრებილებმა მუზეუმის ქვედა დარბაზში გადაინაცვლეს. ეკრანზე უჩვენეს მოკლემეტრაჟიანი დოკუმენ-**



**ტური ფილმი ჯამლეტ ხუხაშვილის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ.**

სიტყვით გამოვიდნენ და ჯამლეტ ხუხაშვილის ღვაწლზე ისაუბრეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა **რამაზ გახოკიძემ**, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ **თამარ მახარაშვილმა**, სპორტულმა კომენტატორებმა და ჟურნალისტებმა **ბიძინა ბარათაშვილმა** და **დავით ქლიბაძემ**, საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა **თენგიზ პაჭკორიამ**, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ **რეზო ჭანიშვილმა**, პოეტმა **ერეკლე საღლიანმა**, მსოფლიო ბარიტონმა **გიორგი გაგნიძემ**, ჯამლეტ ხუხაშვილის მეუღლემ **ევა ბაბალაშვილმა**, შვილმა **მიხეილ ხუხაშვილმა**, კალათბურთელმა **პაატა გურასპაულმა**, კოტე მახარაძის შვილმა **ივიკო მახარაძემ** და სხვებმა. დარბაზში სიმბოლურად აანთეს ხსოვნის სანთელი, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ჯამლეტ ხუხაშვილის ხსოვნას. სტუმრებს თავიანთი ოსტატობა უჩვენეს ქორეოგრაფიულ ანსამბლ **„ლაშქარის“** (სამხატვრო ხელმძღვანელი კახა დაშნიანი) მოცეკვავეებმა. სტუმართა შორის იყვნენ ცნობილი ჟურნალისტები: **პაატა ნაცვლიშვილი, ელგუჯა ბერიშვილი, ვან ბაიბურთი, თენგიზ გაჩეჩილაძე, ალექსანდრე კოტორაშვილი,** ებრაელი მოღვაწეები **შალვა თეთრუაშვილი, მერაბ ჩანჩალაშვილი** და სხვები.

ხსოვნის საღამოზე მოსულ სტუმრებს ელოდათ სასიამოვნო სიურპრიზი: ბატონი ჯამლეტის მეუღლე, მსოფლიოს ქართველ და ებრაელ ქალთა ასოციაცია „ესთას“ პრეზიდენტი, თბილისის საპატიო მოქალაქე **ევა ბაბალაშვილი,** ქართულ-ებრაული ურთიერთობებისა და კულტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციამ დააჯილდოვა თამარ მეფის მედლით. ღირსეულ ქალბატონს მედალი და დიპლომი გადასცეს ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის საპატიო თანათავმჯდომარეებმა **რეზო ჭანიშვილმა** და **თამაზ ათანელმა.**

ხსოვნის საღამო დაგვირგვინდა ჯამლეტ ხუხაშვილის საყვარელი მუსიკის შესრულებით. როიალზე უკრავდა ბატონი ჯამლეტის შვილი **მიხეილ ხუხაშვილი.**

საღამოს ორგანიზატორის **თამაზ ათანელის** და მუზეუმის მესვეურთა გადაწყვეტილებით, ყოველი წლის 20 მარტს გაიმართება ჯამლეტ ხუხაშვილის ხსოვნის საღამო.

**ამირან ბუთურიშვილი**



## მიეცი ნახევარი მილიონი რუბლი და... საკუთარ დედასაც მოკლავს

**ფბს-ს მეთაურმა ალექსანდრ ბორტნიკოვმა რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს მოახსენა, რომ „კროკუს სითი ჰოლის“ ტერაქტის გამო, დაკავებულია 11 პირი, მათ შორის 4 ტერორისტი, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ მასობრივ ხოცვაში.**

ამჟამად მიმდინარეობს ინფორმაციის შეგროვება იმის შესახებ, თუ ვინ თანამშრომლობდა რუსეთიდან 4 ტერორისტთან.

**უმძიმეს დანაშაულში ბრალდებულთა ვინაობა ასე გამოიყურება – ესენი არიან 37 წლის მაჰმადრასულ ნასრიდინოვი, 51 წლის ისმონოვ რივოჟიდინი, 21 წლის საფოლზოდა შოჰინჯონი და 19 წლის მუჰამედსობირ ფაიზოვი.**

ჯერჯერობით უცნობია, დანარჩენი 7 დაკავებულთა ვინაობა. ასევე უცნობია, რა ბრალდებით არიან აყვანილი ისინი. **რუსეთის „ტელეგრამ“ არხში ერთ-ერთი დაკავებულის ჩვენება გავრცელდა:**

**— რას აკეთებდი „კროკუსში“?**

**— დავხოცე ხალხი.**

**— რატომ?**

**— ფულის გამო. სადღაც 500 000 რუბლი გადამიხადეს.**

**— სად მიიღე?**

**— ჯერ არ მიმიღია, ნახევარი ჩამირიცხეს ბარათზე.**

**— ბარათი სადაა?**

**— ტანსაცმელთან ერთად.**

**— იარაღი საიდან მიიღეთ?**

**— თვითონ მათ უზრუნველყვეს იარაღი.**

**— ვინ „მათ“?**

**— არ ვიცი, ტელეგრამზე მომწერეს, არც სახელი იყო, არც სხვა მონაცემები. თვითონ მომწერეს.**

**— უბრალოდ ასე ადგნენ და შემოგთავაზეს ხალხის დახოცვა? ასე უბრალოდ არავის სთავაზობენ!**

**— მქადაგებელს ვუსმენდი და მისმა დამხმარემ მომწერა.**

**— რა ჰქვია დამხმარეს?**

**— არ ვიცი, არ ეწერა სახელი.**

**— როდის მოგწერა?**

**— ალბათ, ერთი თვის წინ.**

**— რა მოგწერა კონკრეტულად, საიდან დაიწყო?**

**— უბრალოდ მომწერა, მერე შემომთავაზა ფული, რომ ასეთი საქმეები გამეკეთებინა.**

**— როგორი ასეთი საქმეები, კონკრეტულად თქვი?**

**— ხალხის მოკვლა.**

**— რომელი ხალხის?**

**— კონკრეტულად არავინ, უბრალოდ ხალხის დახოცვა.**

* * *

**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 24 მარტი ეროვნული გლოვის დღედ გამოაცხადა, მიუსამძიმრა თავდასხმის შედეგად დაღუპულთა ახლობლებს თავდასხმას „ბარბაროსული ტერორისტული აქტი“ უწოდა.**

ორი კვირის წინ შეერთებულმა შტატებმა და ბრიტანეთმა გააფრთხილეს თავიანთი მოქალაქეები მოსკოვში საჯარო ღონისძიებებზე თავდასხმების საფრთხის შესახებ.

მაშინ, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გაფრთხილებას „პირდაპირი შანტაჟი“ უწოდა, რომელიც მიზნად ისახავს „საზოგადოების დაშინებას და დესტაბილიზაციას“.

* * *

**ოპერაციის დროს ერთი თავდამსხმელი შემთხვევის ადგილას დაიღუპა, მეორე კი – ბრიანსკის ოლქში, სადაც პოლიციამ ცეცხლი გაუხსნა სავარაუდო ეჭვმიტანილთა „რენოს“ მარკის ავტომობილს.**

ბრიანსკის ოლქში მოკლული მამაკაცი ტაჯიკეთის მოქალაქეა, თუმცა მედია მის სახელს და გვარს არ ასახელებს.

* * *

**„Crocus City Hall-ზე თავდასხმას მკაცრად ვგმობ, რომელიც მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი საშინელი აქტი იყო. ჩვენი ფიქრები მსხვერპლებთან, მათ ოჯახებთან და მეგობრებთანაა. ინტერპოლი მზადაა, რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩატარებულ გამოძიებას მხარი დაუჭიროს,“** – განაცხადა ინტერპოლის გენერალურმა მდივანმა იურგენ შტოკმა.

* * *

**ოფიციალური მონაცემებით, CROCUS CITY HALL-ზე თავდასხმას 133 ადამიანი ემსხვერპლა.**

**შეგახსენებთ, მოსკოვში, Crocus City Hall-ში თავდასხმა ჯგუფ „პიკნიკის“ კონცერტის დაწყებამდე მოხდა. თვითმხილველების თქმით, ხალხი საკონცერტო დარბაზში იჯდა და კონცერტის დაწყებას ელოდებოდა, როცა დარბაზში სროლა დაიწყო.**

**რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა თავდასხმას ტერაქტის კვალიფიკაცია მიანიჭა.**

**მოგვიანებით, მომხდარზე პასუხისმგებლობა ISIS-მა აიღო.**



# ვოლოდიმირ ზელენსკი: პუტინი და მისნაირი ნაძირალები ტერაქტს სხვას აბრალებენ

**„ცხადია, პუტინი და სხვა ნაძირალები უბრალოდ ცდილობენ, ეს სხვას დააბრალონ. მათ ყოველთვის აქვთ ერთი და იგივე მეთოდები. ისინი ყოველთვის ადანაშაულებენ სხვებს. ისინი შემოვიდნენ უკრაინაში, დაწვეს ჩვენი ქალაქები და ცდილობდნენ უკრაინის დადანაშაულებას.**

**ისინი აწამებენ და აუპატიურებენ ჩვენს ხალხს და მათ ადანაშაულებენ. მათ ასიათასობით ტერორისტი მოიყვანეს აქ, უკრაინის მიწაზე, იბრძვიან ჩვენ წინააღმდეგ და არ აინტერესებთ, რა ხდება მათ ქვეყანაში“,** – აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა ყოველდღიური ვიდეომიმართვისას. ვოლოდიმირ ზელენსკის თქმით, ის ასიათასობით რუსი, რომელიც ახლა უკრაინის მიწაზე კვდება, საკმარისი იქნებოდა ნებისმიერი ტერორისტის შესაჩერებლად.

# განცხადება საჯარო განხილვის შესახებ

### სგშ ანგარიშის საჯარო განხილვა - სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს ხადას ხეობის განაშენიანების გეგმის კონცეფციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო.

დაგეგმილი საქმიანობის სგშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 13 მაისი, 13:00 საათი, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა (მის: რუსთაველის ქ. №27)

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **22 მაისის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: **ph@eiec.gov.ge**, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 18 მარტს.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გასცემენ რეკომენდაციებს.

# განცხადება საჯარო განხილვის შესახებ

### სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. აღაიანში შპს „ჯორჯიან ცემენტ გრუპის“ ცემენტის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტი

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 10 აპრილი, 12:00 საათი, კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. აღაიანის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა.

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **12 აპრილის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 19 მარტს.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

# განცხადება საჯარო განხილვის შესახებ

### სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „კოდორის“ 110 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის ,,მუხიანი 2“-ის რეკონსტრუქციის პროექტი

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 8 აპრილი, 12:00 საათი, გლდანის რაიონის გამგეობის შენობა (მის: სარაჯიშვილის ქ. №1გ)

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **12 აპრილის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 15 მარტს.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

# საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი

# დადგენილება

## არბიტრაჟის სახელით საჯარო შეტყობინების შესახებ

**საქმე №01-26/2024**

**ქ. თბილისი** **20 მარტი, 2024 წელი**

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის არბიტრმა ლალი გოჩელაშვილმა, მხარეთა მონაწილეობის გარეშე განვიხილე სარჩელის საჯაროდ გავრცელების საკითხი.

**გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :**

საქართველოს საარბიტრაჟო პალატას საარბიტრაჟო სარჩელით მომართა ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ ქეთევან ურიადმყოფელის მიმართ, თანხის დაკისრების შესახებ.

სარჩელისა და მასზე თანდართული მასალების ასლები, ასევე არბიტრაჟის უწყება და არბიტრაჟის დებულება, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად, არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართზე გაეგზავნა მოპასუხეს, მაგრამ მისამართზე არყოფნის გამო საფოსტო გზავნილები ადრესატს ვერ ჩაბარდა.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-17 მუხლის თანახმად თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის არბიტრაჟის შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება და არბიტრაჟის მიერ ამ დებულების მე-16 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, არბიტრაჟს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არბიტრაჟის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

არბიტრაჟს მიიჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხეს არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართზე გაგზავნილი სარჩელი და თანდართული მასალები ვერ ჩაბარდა და ამასთან მისი სხვა ადგილსამყოფელის შესახებ არბიტრაჟისათვის უცნობია, მოპასუხეს სარჩელის და თანდართული მასალების თაობაზე უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინებით.

**ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :**

ვიხელმძღვანელე საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-2, მე-17 მუხლებით და

**დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :**

1. მოპასუხე ქეთევან ურიადმყოფელს საქართველოს საარბიტრაჟო პალატა წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს:

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის წარმოებაშია ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საარბიტრაჟო სარჩელი ქეთევან ურიადმყოფელის მიმართ, თანხის დაკისრების შესახებ.

**სასარჩელო მოთხოვნა:**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის საფუძველზე ქეთევან ურიადმყოფელს ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სასარგებლოდ დაეკისროს 22843.19 ლარის და საარბიტრაჟო მოსაკრებელის 1106.14 ლარის გადახდა.

2. საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების 26-ე მუხლის თანახმად მოპასუხეს უფლება აქვს 7 დღის ვადაში საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედ არბიტრაჟში წარმოადგინოთ წერილობითი შესაგებელი საარბიტრაჟო სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებზე ან შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელი, რომლებშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) მხარეთა სახელწოდებები;

ბ) მისამართები (ადგილსამყოფელი);

გ) გარემოებები და მტკიცებულებები, რითაც შეიძლება დადასტურდეს შესაგებელში (შეგებებულ სარჩელში) მითითებული მოთხოვნები და გარემოებები;

დ) შესაგებელზე (შეგებებულ სარჩელზე) თანდართული საბუთების ნუსხა.

3. ქეთევან ურიადმყოფელს ეცნობოს, რომ საქმის განხილვა დანიშნულია 2024 წლის 12 აპრილს, 16:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟიული შარტავას ქ. 30, სართული 2, ბინა 5.

4. ქეთევან ურიადმყოფელს განემარტოს, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

5. ქეთევან ურიადმყოფელს ეცნობოს, რომ საქმეს განიხილავს საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის არბიტრი ლალი გოჩელაშვილი, ქეთევან დუმბაძის მდივნობით. მასვე განემარტოს, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-4 მუხლის თანახმად უფლება აქვს გზავნილის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წერილობით მომართოს არბიტრაჟს საქმის განმხილველი არბიტრის ან მდივნის აცილების შესახებ, სადაც უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები.

6. ქეთევან ურიადმყოფელს განემარტოს, რომ სარჩელი და თანდართული დოკუმენტები, ასევე უწყება საქმის განხილვის შესახებ, მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. ქეთევან ურიადმყოფელს განემარტოს, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება საქმის წარმოების წესების შესახებ გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე: matsne.gov.ge/document/view/1179539?publication=0 და საქართველოს საარბიტრაჟო პალატის ვებგვერდზე acg.org.ge/img/debuleba.pdf

8. წინამდებარე დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“.

9. დადგენილება ძალაში შედის გამოტანის მომენტიდან.

---

# საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი

# დადგენილება

## არბიტრაჟის სახელით საჯარო შეტყობინების შესახებ

**საქმე №01-27/2024**

**ქ. თბილისი** **20 მარტი, 2024 წელი**

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის არბიტრმა ლალი გოჩელაშვილმა, მხარეთა მონაწილეობის გარეშე განვიხილე სარჩელის საჯაროდ გავრცელების საკითხი.

**გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :**

საქართველოს საარბიტრაჟო პალატას საარბიტრაჟო სარჩელით მომართა ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ შპს „ფროფერთი დილსის“ მიმართ, თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთების რეალიზაციის შესახებ.

სარჩელისა და მასზე თანდართული მასალების ასლები, ასევე არბიტრაჟის უწყება და არბიტრაჟის დებულება, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად, არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართზე გაეგზავნა მოპასუხეს, მაგრამ მისამართზე არყოფნის გამო საფოსტო გზავნილი ადრესატს ვერ ჩაბარდა.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-17 მუხლის თანახმად თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის არბიტრაჟის შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება და არბიტრაჟის მიერ ამ დებულების მე-16 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, არბიტრაჟს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არბიტრაჟის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

არბიტრაჟს მიიჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხეს არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართზე გაგზავნილი სარჩელი და თანდართული მასალები ვერ ჩაბარდა და ამასთან მისი სხვა ადგილსამყოფელის შესახებ არბიტრაჟისათვის უცნობია, მოპასუხეს სარჩელის და თანდართული მასალების თაობაზე უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინებით.

**ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:**

ვიხელმძღვანელე საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-2, მე-17 მუხლებით და

**დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :**

1. მოპასუხე შპს „ფროფერთი დილსს“ საქართველოს საარბიტრაჟო პალატა წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს:

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის წარმოებაშია ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საარბიტრაჟო სარჩელი შპს „ფროფერთი დილსის“ მიმართ, თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთების რეალიზაციის შესახებ.

**სასარჩელო მოთხოვნა:**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის საფუძველზე შპს „ფროფერთი დილსს“ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სასარგებლოდ დაეკისროს 339064.81 აშშ დოლარის, საარბიტრაჟო მოსაკრებელის 19316.45 ლარის და საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლებისათვის გადახდილი 102.50 ლარის გადახდა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლის საფუძველზე დადგინდეს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთების რეალიზაცია, კერძოდ:

უძრავი ნივთი, მდებარე მისამართზე: თბილისი, ახვლედიანის ქ. №23, ს/კ 01.15.03.023.001.01.501;

უძრავი ნივთი, მდებარე ქ. თბილისში, ახვლედიანის ქ. №23, I სართული, ს/კ 01.15.03.023.001.01.504;

უძრავი ნივთი, მდებარე ქ. თბილისში, ახვლედიანის ქ. №23, ს/კ 01.15.03.023.001.01.521;

უძრავი ნივთი, მდებარე ქ. თბილისში, ახვლედიანის ქ. №23, ს/კ 01.15.03.023.001.01.532;

უძრავი ნივთი, მდებარე ქ. თბილისში, ახვლედიანის ქ. №23, ს/კ 01.15.03.023.001.01.533.

იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფის საგნების რეალიზაციისას სრულად არ დაკმაყოფილდება სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ მოთხოვნა, სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლის $1^1$ ნაწილისა და გენერალური ხელშეკრულების 5.3 - 5.4 პუნქტების თანახმად, დადგინდეს, რომ აღსრულება მიექცეს მოპასუხის კუთვნილ ნებისმიერ ქონებაზე. ამასთან, არ არის სავალდებულო, რომ ბანკმა პირველ რიგში, იძულებითი აღსრულება დაიწყოს უზრუნველყოფის საგნებიდან. ბანკი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, იძულებითი აღსრულება პირველ რიგში მიაქციოს შპს „ფროფერთი დილსის“ კუთვნილ სხვა ქონებაზე.

2. საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების 26-ე მუხლის თანახმად მოპასუხეს უფლება აქვს 7 დღის ვადაში საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედ არბიტრაჟში წარმოადგინოთ წერილობითი შესაგებელი საარბიტრაჟო სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებზე ან შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელი, რომლებშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) მხარეთა სახელწოდებები;

ბ) მისამართები (ადგილსამყოფელი);

გ) გარემოებები და მტკიცებულებები, რითაც შეიძლება დადასტურდეს შესაგებელში (შეგებებულ სარჩელში) მითითებული მოთხოვნები და გარემოებები;

დ) შესაგებელზე (შეგებებულ სარჩელზე) თანდართული საბუთების ნუსხა.

3. შპს „ფროფერთი დილსს“ ეცნობოს, რომ საქმის განხილვა დანიშნულია 2024 წლის 12 აპრილს, 16:30 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟიული შარტავას ქ. 30, სართული 2, ბინა 5.

4. შპს „ფროფერთი დილსს“ განემარტოს, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

5. შპს „ფროფერთი დილსს“ ეცნობოს, რომ საქმეს განიხილავს საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის არბიტრი ლალი გოჩელაშვილი, ქეთევან დუმბაძის მდივნობით. მასვე განემარტოს, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-4 მუხლის თანახმად უფლება აქვს გზავნილის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წერილობით მომართოს არბიტრაჟს საქმის განმხილველი არბიტრის ან მდივნის აცილების შესახებ, სადაც უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები.

6. შპს „ფროფერთი დილსს“ განემარტოს, რომ სარჩელი და თანდართული დოკუმენტები, ასევე უწყება საქმის განხილვის შესახებ, მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. შპს „ფროფერთი დილსს“ განემარტოს, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება საქმის წარმოების წესების შესახებ გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე: matsne.gov.ge/document/view/1179539?publication=0 და საქართველოს საარბიტრაჟო პალატის ვებგვერდზე acg.org.ge/img/debuleba.pdf

8. წინამდებარე დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“.

9. დადგენილება ძალაში შედის გამოტანის მომენტიდან.

⊙ ტატამზე



# ეთერის ოქრო(ები)

**თბილისის გრანდ სლემის სასტარტო დღე ქართული ოჯახის შექმნამ დაამშვენა, მანამდე კი...**

**ეთერ ლიპარტელიანს** (57 კგ) აქამდე მსგავსი ტურნირების ოთხი(!) ფინალი ჰქონდა წაგებული, მეხუთე ცდიდან კი ნავსი გატეხა და ერთბაშად ორი ოქრო მოიხვეჭა. დიახ, საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შებიჯებამდე სატრფოს ხელი ასევე ცნობილმა ძიუდოისტმა თემურ ნოზაძემ თხოვა და უკვე გახმაურებული სიყვარულის აღსანიშნავად რჩეულს თითი ბაჯაღლო ბეჭდით „დაუმძიმა“. ბედნიერება ვუსურვოთ ახალგაზრდა წყვილს.

თითქოს გრაფიკით ჭიდაობენო, მასპინძლები შაბათსაც ერთადერთ ტიტულს დასჯერდნენ და ადვილად გამოსაცნობია, რომ გულშემატკივრები, უკვე მერამდენედ, ლაშა შავდათუაშვილმა (73 კგ) გაახარა. ყველა პრესტიჟული ჯილდოს მფლობელმა უბერებელმა ვეტერანმა ფინალში გარუსებული სომეხი(!) გალსტიანი დააიპონა.

⊙ ყინულზე

# შესანიშნავი შვიდეულში

**რამდენიმე თვის წინათ გულით გავიხარეთ, როცა ანასტასია მეტელკინასა და ლუკა ბერულავას წყვილმა ფიგურულ სრიალში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი მოიგო, რაც სპორტის ამ სახეობაში ქართველთა პროგრესის შეუქცევად პროცესად აღვიქვით – მოგეხსენებათ, შარშან ანასტასია გუბანოვამ ევროპული ფორუმის პირველი ჩვენეული ოქრო მოიხვეჭა.**

და აი, ჯვაროსანთა კიდევ ერთი ღირსეული შედეგი: დიახ, წარმატებად უნდა შეფასდეს მეტელკინა-ბერულავას დუეტის მიერ კანადურ მონრეალში გამართულ უფროსთა მუნდიალზე დაკავებული საპატიო მეშვიდე ადგილი, მით უმეტეს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოკლე პროგრამის შემდეგ იგი მეხუთე პოზიციას იკავებდა და შედეგების სიმჭიდროვე მედლის შანსს უტოვებდა.



**გაგრძელება აუცილებლად იქნება!**

# წვიმაში შობილი ეროვნული აღტყინება

## ანუ ქამრით მოგვრილი სიხარული

**დამოუკიდებლობის პერიოდში საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები მეორედ შეუტევს ევროპული ფორუმის დასკვნით ტურნირს და, ვიმედოვნებთ, ამჯერად ყველაფერი გერმანული სტადიონების დაჭაშნიკებით დასრულდება.**

საამისოდ **ვილი სანიოლის** გუნდმა ერთა ლიგის ნახევარფინალში ლუქსემბურგი დინამო არენაზე 2:0 დაამარცხა და ხვალ იქვე 21 საათზე ტიტულის 2004 წლის მფლობელ საბერძნეთს უმასპინძლებს, რომელმაც შინ ყაზახეთი გააქრო – 5:0. ეს სათქმელადაა ადვილი – ფინალში გავედითო, თორემ რა უძღოდა წინ ამ მოვლენას, ქვემოთ წაიკითხავთ. ვიდრე ძირითად სათქმელზე გადავალთ, აქვე შეგახსენებთ, რომ სწორედ გერმანიაში გაუსინჯა წლევანდელ იანვარში ელიტურ საზოგადოებას გემო ჩვენი ქვეყნის ხელბურთელთა ნაკრებმა. ასე რომ, სასიკეთო „პრიმეტა“ სახეზეა.



⊙ გერმანიისკენ!

### მატჩის წინ

**როცა შეხვედრის დაწყებამდე 4 საათით ადრე ცა მოიქუფრა, ხოლო კიდევ ერთ საათში გაწვიმდა, ძალაუნებურად პარალელი 1979 წლის თქეშიან საღამოსთან გავავლე, როცა დიდუბეშივე ლივერპული განვგმირეთ. თურმე, სავსებით ლოგიკურად.**

ასევე მენიშნა მატჩისწინა სატელევიზიო ჩართვაში **რევაზ ჩელებაძის** ისტორიული ექსკურსი – დღეს დიდგორის ბრძოლააო. ხომ იცით – როცა ძლევაი საკვირველს ვახსენებთ, იქვე ჩვენი სამშობლოს ბედკრული წარსულის საბედისწერო ნიშანსვეტი – კრწანისი გვახსენდება, მაგრამ ამჯერად დარწმუნებით შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ხვიჩა კვარაცხელიას არყოფნის მიუხედავად ჯვაროსნები არ გაგვაწბილებდნენ. საბედნიეროდ, ასეც მოხდა.

ტაქტიკური სიურპრიზი შემოგვთავაზა ფრანგმა თავკაცმაც, რომელმაც აზაროვის იგნორირება არ იკმარა და სათადარიგოთა სკამზე დატოვა სამწლიანი პაუზის შემდეგ ნაკრებში დაბრუნებული კანკავა, გუნდის სქემაში კი გადამწყვეტი აღმოჩნდა შეტევაში შეხვედრის მომავალი გმირის, დუბლის ავტორ ზივზივაძისა და მიქაუტაძის ერთად დაყენება, რამაც დიდი უპირატესობა მოგვიტანა.

მოკლედ, საყოველთაო ეროვნული ზეიმი ესპანელი მსაჯის, თამაშის მთავარ პერსონაჟ სანჩესის სასტარტო სასტვენამდე კარგახნით ადრე მომწიფდა, რესპუბლიკის მოედანზე, აგრეთვე ბათუმში, ქუთაისსა და ზუგდიდში გიგანტურ ეკრანებთან გულშემატკივართა შეკრებით, ბორის პაიჭაძეზე კი ილია თოფურიას საჩემპიონო ქამრის წარდგენითა და სამშობლოში სტუმრად ჩამოსული UFC-ის გვირგვინოსნისადმი სათანადო პატივის მიგებით გაგრძელდა. აქვე შეგახსენებთ, რომ მეტოქესთან წინა მატჩებში მცირე უპირატესობა გვქონდა: 2 მოგება, 1 ფრე და 1 წაგება.

### მატჩი

**ნერვების ომის პირველი ტაიმი კიტეიშვილ-ჩაკვეტაძე-მიქაუტაძე-ზივზივაძის დამრტყმელი კვარტეტის აქტიურობით აღინიშნა, რასაც კარლსრუეს ქართველი ლეგიონერის ჰეთთრიქი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ჯერ მან ძელი შეაწუხა, შემდეგ წესების დარღვევა აღმოუჩინეს და გოლი გაუუქმეს, მე-40 წუთზე კი ანგარიში მაინც გახსნა – 1:0.**

დროის ერთადერთი მონაკვეთი, როცა გაგვიჭირდა, მეორე ტაიმის დასაწყისი იყო, როცა მამარდაშვილმა გვიხსნა, მაგრამ მალევე კვანძი ჩვენს სასარგებლოდ გაიხსნა. ამ ეპიზოდში სტუმრები როდრიგესის გოლს ზეიმობდნენ, როცა სანჩესს ვარ-ის ჯიხურიდან აცნობეს, წინა აქტივობისას მიქაუტაძე მოცელესო. ჰოდა, ესპანელმა მსაჯმა სამართლიანობა იმით მოძებნა, რომ ტაბლოზე 1:0 აღადგინა და ლუქსემბურგელებს შაპო გაუძევა. რამდენიმე წუთში შენგელიამ ზივზივაძეს დუბლი შეასრულებინა და – 2:0! ასე რომ, ხვალ – ან ყველაფერი, ან არაფერი!

⊙ ლეგიონერი

# შუბი ზურგში

**აქსიომაა, რომ სპორტი და ტრავმა განუყრელი მცნებებია, მაგრამ ის, რაც ვირტუს ბოლონიაში ხდება, გულს უკლავს იტალიური საკალათბურთო გრანდის ქომაგებს.**

საუბარია ლაზარეთის იმ გადატვირთვაზე, რომელმაც ლუკა ბანკის გაწვრთნილ გუნდს, რომ იტყვიან, მთელი სეზონის მონაგარი წყალში ჩაუყარა.

ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა სერია – ა-ს ლიდერი ევროლიგაში მხოლოდ რეალს ჩამორჩებოდა და მეორე პოზიცია ეკავა, პარტნიორებს კი **თორნიკე შენგელია** გამოაკლდა. მართალია, საქართველოს ნაკრების კაპიტანმა მალე მოიშუშა იარა და რამდენიმე კვირაში სარბიელს დაუბრუნდა, მაგრამ ამასობაში წამყვანი უკანახაზელები ჰეკეტი და გორდინიე დაშავდნენ, ეს კი აუნაზღაურებელი დანაკლისი გახლავთ.



შედეგად, ვირტუსი ბელგრადში ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა ცრვენა ზვეზდასთან – 79:94 და უკვე პლეი-ოფში გასვლა საეჭვო გაუხდა. და ეს მაშინ, როცა თორნიკე, რომ იტყვიან, დაფრინავს და ამჯერად 25(!) ქულით გამოირჩა. დავძენთ, რომ ბოლონიელებს ფინიშზე 3 მძიმე ბრძოლა ელით – პანათინაიკოსთან, მილანთან და შენგელიას ძველ კლუბთან, უშუალო კონკურენტ ბასკონიასთან, რომელიც ესპანეთის ჩემპიონი გახადა.

⊙ ევროთასი

**რიეკას პრიმორიე 1908 წელს დაარსებული ხორვატეთის უძველესი საწყალბურთო კლუბია და თბილისში ევროთასის საპასუხო მერვედფინალზე ჩამოსვლამდე**




# ასეთია რეალობა

**სეზონში 11 შეხვედრა გამართა, თანაც ყველა მოიგო მაშინ, როცა დინამოელებს ერთადერთი მძაფრი წაგებული ბრძოლა ჰქონდათ მარაგში და ტურნირიდან გამოთიშვის შემდეგ სექტემბრამდე მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატში მოუწევთ თამაში, ამიტომ სავსებით ლოგიკურია ორრაუნდიანი პლეი-ოფის საბოლოო შედეგი, თუმცა სასწაულის იმედი მაინც გვქონდა.**

**დინამო – პრიმორიე
15:20
(4:6, 3:3, 3:6, 5:5)
პირველი მატჩი 7:8**

ჩვენს ოპტიმიზმს მინიმალური სხვაობით დათმობილი პირველი შეხვედრა ასაზრდოებდა, როცა 5:8-დან მეტოქეს 7:8-მდე მივუახლოვდით, მაგრამ ოლიმპიკის აუზში მოვლენები თავიდანვე კანონზომიერად განვითარდა.

სტუმრებს მონაცვლეობით ლიდერობდნენ ბულიანი, დრუზნიაკი და დე რეე მაშინ, როცა დეიან სტანოიევიჩის შეგირდები ხშირად უშვებდნენ ბავშვურ შეცდომებს და მართლაც წყალს ატანდნენ სიმწრით შექმნილ სახიფათო მომენტებსა თუ მოპოვებულ რიცხობრივ უპირატესობას.

ყველაფერთან ერთად დაგვაღალატა ძირითადმა მეკარემ რაზმაძემ, მისი შემცვლელი გვეტაძე კი, მართალია, თავიდან საიმედოდ გამოიყურებოდა, მაგრამ შესვენების შემდეგ მანაც აურია.

სხვათა შორის, ერთ ეპიზოდში სტუმრებმა კურიოზული ავტოგოლი გვიფეშქაშეს, მაგრამ ამით ჩვენთვის საერთო სავალალო სურათი ოდნავადაც არ შეცვლილა. ასე რომ, ტელერეპორტაჟის წამყვანთა მოჭარბებული პრეტენზიები მსაჯობით და არგუმენტად იმნაიშვილისა და ტყეშელაშვილის გაძევების მოყვანა უფრო გულის მოფხანვას ჰგავდა...

# უკრაინაში ქართველი მებრძოლი თენგიზ ჭანია დაიღუპა



**უკრაინაში კიდევ ერთი ქართველი მებრძოლი, თენგიზ ჭანია დაიღუპა. ჭანია აფხაზეთიდან დევნილია, იყო აფხაზეთისა და 2008 წლის აგვისტოს ომების მონაწილე. იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის დეპარტამენტისა და შსს განსაკუთრებულ დავალებათა მეორე სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი. უკრაინაში იბრძოდა ომის დაწყების პირველივე დღიდან და ამ პერიოდის განმავლობაში ორჯერ დაიჭრა, თუმცა, გამოჯანმრთელების შემდეგ, ორივეჯერ ბრძოლის წინა ხაზზე დაბრუნდა.**

ჭანია ავდეევკა-მარინკას მიმართულებაზე, უკრაინის შეიარაღებული ძალების „აზოვის“ მესამე მოიერიშე ბრიგადის შემადგენლობაში იბრძოდა. შემთხვევა 22 მარტს მოხდა, როდესაც პერიმეტრზე რუსმა ოკუპანტებმა სარაკეტო იერიში მიიტანეს. არსებული ინფორმაციით, შეტაკებების გამო, ამ დრომდე ვერ ხერხდება ბრძოლის ველიდან ცხედრის გამოტანა. რუსეთის სრულმასშტაბიან ომს, 2022 წლის შემდეგ, 62 ქართველი მებრძოლის სიცოცხლე ემსხვერპლა.

# ნუცა ბუზალაძის ძმა, რომელსაც აშშ-ში 11 დღე ეძებდნენ, მანქანაში გარდაცვლილი იპოვეს!



**ამერიკაში, ფილადელფიაში 40 წლამდე ქართველი კაცი გარდაცვლილი იპოვეს. დათო ბუზალაძეს 11 დღის განმავლობაში ეძებდნენ და გარდაცვლილი საკუთარ ავტომობილში ნახეს.**

ინფორმაცია გარდაცვლილის დამ, მომღერალმა ნუცა ბუზალაძემ გაავრცელა.

**— დღეს ჩემი ყველაზე სიმპათიური ძმა დათო გარდაცვლილი იპოვეს მანქანაში, ამერიკაში. ამაზე დიდი უბედურება, ამაზე დიდი ტკივილი რა შეიძლება ადამიანმა იგრძნოს, არ ვიცი. თითქოს ჩემი გულის ნაწილიც გაყვა მას. ჩემს თავს ვერ ვპატიობ იმ ფაქტს რომ ახლო ურთიერთობა არ მქონდა მასთან განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, მაგრამ ისე მიყვარდა ყოველთვის ბავშვობიდან, როგორც გულის ნაწილი, ძალიან მწყდება გული და ძალიან განვიცდი იმას, რომ ფაქტობრივად დაკარგული მქონდა მასთან ურთიერთობა. რატომ მე თვითონაც ვერ ვხვდები.. ეს ტანჯვა გამყვება ცხოვრების ბოლომდე და ეს გულისტკივილი, რასაც დღეს ვგრძნობ არ გამინელდება არასდროს! დათო შენ ძალიან კარგი ძმა იყავი, კარგი მეგობარი, კარგი შვილი, კარგი მეუღლე, კარგი მამა და შენი ქვეყნის დიდი პატრიოტი! მადლობა ამისთვის, მოგვენატრები ყველას!**

# თელავში ქურდობების სერია გრძელდება...

**თელავში ქურდობის სერია გრძელდება — დაუდგენელი პირები ალაზნის გამზირზე დაკეტილ სახლებს ტეხენ და ფული და ძვირფასეულობა მიაქვთ. ერთ-ერთი ბოლო ქურდობა იმ ბინაში მოხდა, სადაც მოქმედი პოლიციელი ცხოვრობს. მოსახლეობამ სადარბაზოებში სათვალთვალო კამერების დამონტაჟება დაიწყო.**

ადგილობრივები ვარაუდობენ, რომ ადგილზე ორგანიზებული ჯგუფი მოქმედებს. მომხდარზე გამოძიება მიმდინარეობს, თუმცა საგამოძიებო უწყებამ რამდენიმე თვეა დამნაშავეების იდენტიფიცირებაც კი ვერ შეძლო.

**„ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გაუარესდა კრიმინოგენური სიტუაცია თელავში. განსაკუთრებით, ალაზნის გამზირზე, სადაც მე ვცხოვრობ, გატეხეს რამდენიმე ბინა... ხშირად მოსახლეობა არც კი მიმართავს პოლიციას. იმიტომ, რომ არ აქვს იმედი, რომ სამართალს იპოვის,“** — ამბობს ერთ-ერთი ადგილობრივი.

# მკვლელობა ქობულეთში - 40 წლამდე კაცი კლინიკაში გარდაიცვალა

**ინფორმაციას „აჭარის ტელევიზია“ ავრცელებს. მედიკოსების ინფორმაციით, მიყენებული დაზიანებები სიცოცხლისთვის შეუთავსებელი აღმოჩნდა. კლინიკის ცნობით, დაშავებული საავადმყოფოში თვითდინებით შეიყვანეს.**

კაცი ქობულეთში გუშინ დაჭრეს. გავრცელებული ინფორმაციით, შემთხვევას წინ შელაპარაკება უძღოდა. შსს-მ ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

# პროკურატურამ 43 წლის მამაკაცს ბრალი წაუყენა

**საქართველოს პროკურატურამ პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის და სექსუალური ხასიათის იძულების ფაქტებზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.** საუბარია 43 წლის კაცზე, რომელიც სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა 22 მარტს დააკავა და რომელიც 200-მდე ქალის უკანონოდ მოპოვებულ 5 ათასამდე ინტიმური შინაარსის ფოტო და ვიდეომასალას ინახავდა:

**„სპეციალურ საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის მოტივით, 19 წლის დაზარალებულზე ფსიქოლოგიურად ძალადობდა, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გახმაურების მუქარით სთხოვდა მორჩილებას და მასთან სქესობრივი კავშირის დამყარებას. გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დაზარალებულის პირადი ცხოვრების საიდუმლოს ამსახველი ფოტოსურათების გარდა, აღმოჩენილია სხვა პირთა პირადი ცხოვრების საიდუმლოს ამსახველი ფოტოსურათები და ვიდეოჩანაწერები“.**

სამართალდამცველებმა ბრალდებული 22 მარტს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე პრიმა მუხლით (პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა და გამოყენება) და 139-ე მუხლით (სქესობრივი კავშირის იძულება) წარედგინა.

# ოზურგეთში ახალგაზრდა კაცი ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს

**ოზურგეთში 40 წლამდე კაცი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრეს. შეიარაღებული თავდასხმა გუშინ მოხდა.**

დაჭრილი ადგილობრივია. ის ოზურგეთის „მედალფას“ კლინიკაშია გადაყვანილი და მიმდინარეობს სამედიცინო კვლევები. თავდამსხმელმა გაქცევა მოახერხა.

# წალენჯიხაში სატვირთო მანქანა კედელს შეეჯახა, მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა

**წალენჯიხაში, ცენტრალური სტადიონის ბეტონის კედელს სატვირთო ავტომობილი შეეჯახა. სავარაუდოდ, მძღოლი შეჯახების მომენტში მანქანიდან გადმოვარდა და ადგილზე დაიღუპა.**

არსებული ინფორმაციით, ავტოსაგზაო შემთხვევა გაუმართავმა მუხრუჭმა გამოიწვია.



## სულთათანა



**ჯემალ კუხალაშვილი, ავთანდილ აბაშიძე, თამაზ შილაკაძე, გიზო კუხალაშვილი, ვალერი ასათიანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი, ლეჩხუმის მკვიდრი, ცაგერის პირველი კერძო მუზეუმის („გუჯას მუზეუმის“) დამაარსებელი, გამორჩეულად სტუმართმოყვარე პიროვნება**

# ელგუჯა ბენდელიანი

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.**

# „იმერეთის სათავგადასავლო ტურიზმის სტრატეგია“ - ახალი გამოწვევა რეგიონისთვის



**ქუთაისში გამართულ შეხვედრაზე იმსჯელეს „იმერეთის სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების სტრატეგიაზე“, რომელიც „იმერეთის ტურიზმის კლუბის“ მიერ შემუშავდა.**

რეგიონის განვითარებაში სათავგადასავლო ტურიზმის როლზე ისაუბრა იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ და დასძინა, რომ ამ მიმართულების განვითარება მხარეს მოუტანს დამატებით ინვესტიციებს, ხელს შეუწყობს ძნელად მისადგომი სოფლებისა და მხარეების ათვისებას, ასევე ეკონომიკური საქმიანობის გაცოცხლებასა და სოფლის მეურნეობის განვითარებას. პროექტის მნიშვნელობასა და განვითარების ეტაპებზე, საკემპინგო ზონების შერჩევის პრინციპებსა და მნიშვნელობაზე ისაუბრეს: DMO იმერეთის აღმასრულებელმა დირექტორმა მარი დევიძემ, „იმერეთის ტურიზმის კლუბის ხელმძღვანელმა ალექსანდრე პაიკიძემ, ტურიზმის დოქტორმა ოთარ ჯაფარიძემ, გეოგრაფიის დოქტორმა გიორგი დვალაშვილმა და კომპანია კამერტონ-თრეველის ხელმძღვანელმა დავით ქობულაძემ.

„იმერეთის სათავგადასავლო ტურიზმის სტრატეგია“ ითვალისწინებს რეგიონის 12-ვე მუნიციპალიტეტში ეკომეგობრული სათავგადასავლო ბანაკების მოწყობას, შესაბამისად სათავგადასავლო პოტენციალის წინ წამოწევას და რეგიონში ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობას. სტრატეგიის მიხედვით, ყველა მუნიციპალიტეტში კონკრეტული კრიტერიუმებით შერჩეულ ადგილებზე განთავსებულ ბანაკებს ექნებათ საერთო სახე, პროექტირება და მართვის სტილი.

# გორის სოფლებში სკოლასთან მისასვლელი გზებზი მოწესრიგდა



**გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში, სკრასა და ბეთლემში სკოლასთან მისასვლელ გზებზე ასფალტის საფარი დაიგო. გარდა სკოლასთან მისასვლელი გზისა, ბეთლემში მოასფალტდა სკოლის ეზო, ხოლო სკრაში მოიხრეშა სავარგულებთან დამაკავშირებელი გზა, რომელიც სამი სოფლის (სკრა, რიეთი, ბეთლემი) მოსახლეობას ემსახურება.**

სამუშაოები ადგილობრივი გზების მოვლა — შენახვის მომსახურების ფარგლებში ჩატარდა. გზების მოვლა-შენახვის სამუშაოებს ახორციელებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია, რომელიც ხელშეკრულების მიხედვით გორის მუნიციპალიტეტს მთელი წლის განმავლობაში ემსახურება. კონტრაქტორმა კომპანიამ მიმდინარე წლის განმავლობაში ზემო ნიქოზში გზის მონაკვეთზე მოაწყო ასფალტის საფარი, ზერტსა და ზემო ხვითში ჩაატარა გზების ორმოული შეკეთების სამუშაოები, საქაშეთსა და ყელქცეულში კი მოიხრეშა შიდა გზები.

## ◉ თანამედროვე ფოლკლორი



ამ იუმორესკით გამოეხმაურა ჩვენი კოლეგა გიზო ზარნაძე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ენტონი ბლინკენის დოკუმენტს გენდერულ-ნეიტრალური ტერმინების გამოყენების შესახებ – დედა, მამა, ქალიშვილი, ვაჟი, ქალბატონი, ბატონი და ა. შ.

# მრჩეველი ბატი

ფრინველთა მეფეს, არწივსა,
ნუ გეგონებათ მითი,
ერთ მშვენიერ დღეს იდეა
აზრად მოსვლია ფინთი, –
მრჩეველად ბატი დაუსვამს,
უკუუგდია გვრიტი!
ბატს უთქვამს: ნუ გამიწყრებით,
თუკი სიმართლეს ვიტყვი:
რაღა დროს ტრადიციაა!
(თან ფერი ადევს მიტკლის), –
თქვენსას რად ერქვას მართვე და
ჩემსას რად ერქვას ბჟიტი?!
არა სჯობიან, სუყველას
ერქვას „პატარა ჩიტი“?

**გიზო ზარნაძე**



# სიბრძნე სიცილისა

## ვის რა გინდათ?

**ვირი იდგა ხეზე მიბმული, ეშმაკმა ჩაუარა და აუშვა. ვირი წავიდა მეზობლის ბოსტანში და ყველაფრის ჭამა დაიწყო მიყოლებით. მეზობლის ცოლმა დაინახა, თოფი აიღო და ვირს ესროლა. ვირის პატრონმა სროლის ხმა რომ გაიგონა, გარეთ გავიდა, მკვდარი ვირი დაინახა, და მეზობლის ცოლს ესროლა. შინ დაბრუნებულმა ცოლმკვდარმა მეზობელმა ქალის ცხედარი რომ ნახა, მკვლელი მოკლა. ვირის პატრონის შვილებმა, გარდაცვლილი მშობლის დანახვაზე, მეზობლის სახლი გადაწვეს. შურისძიებას ატანილმა სახლდამწვარმა კაცმა ის შვილებიც დახოცა.**

**ბოლოს ეშმას ჰკითხეს: ეს რა ჩაიდინეო?**

**— არაფერიო, — უპასუხა მან, — უბრალოდ, ვირი გავათავისუფლე.**

**მორალი: თუ სოფლის მოსპობა და ხალხის გაუბედურება გინდათ, ვირებს თავისუფლება მიეცით.**



# მზიასა და ზეზვას ნასახლარზე

**საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი დმანისის მუნიციპალიტეტში სამუშაო ვიზიტისას საქართველოს ეროვნული მუზეუმის დმანისის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალს ესტუმრა.**

მინისტრმა მეცნიერებთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა ნაკრძალის ტერიტორია, რის შემდეგაც ნაკრძალის განვითარების შესაძლებლობებზე იმსჯელეს.

დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი საქართველოს ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაშია და წარმოადგენს შუა საუკუნეების ნაქალაქარს, სადაც დღემდე მიმდინარეობს არქეოლოგიური სამუშაოები. ნაქალაქარზე შემორჩენილია შიდა ციხე, საერო და საკულტო ნაგებობები. გარდა შუა საუკუნეების ფენისა, დმანისში ქართველი და უცხოელი სპეციალისტები იკვლევენ მილიონ რვაასი ათასი წლის წინანდელ პალეოლითურ ძეგლს, რომელიც გამოირჩევა ადრეულ ჰომინიდთა და განამარხებულ ცხოველთა მრავალრიცხოვანი ნაშთებით.

1991 წლიდან დღემდე დმანისის ძეგლზე აღმოჩენილია ჰომინიდის ხუთი თავის ქალა, რაც დღემდე მსოფლიოს არც ერთ ძეგლზე არ დაფიქსირებულა.

# ტვინში ჩიპჩანერგილი „მოჭადრაკე“

**ილონ მასკის კომპანიამ Neuralink აჩვენა როგორ თამაშობს ონლაინ-ჭადრაკს პირველი ადამიანი, რომელსაც ტვინში ამ კომპანიის ჩიპი ჩაუნერგეს.**

ვიდეო სოციალურ ქსელში X აჩვენეს, რომელიც ასევე მასკს ეკუთვნის. ტრანსლაციის მთავარი გმირი 29 წლის ნოლან არბოა - პირველი ადამიანი, რომელსაც ჩიპი ტვინში იანვრის ბოლოს ჩაუნერგეს. არბომ განაცხადა, რომ 8 წლის წინ მომხდარი უბედური შემთხვევის შემდეგ მხრებს ქვემოთ ვერაფერს გრძნობს. მისი თქმით, ჩიპის ჩანერგვის ოპერაციამ მარტივად ჩაიარა. **„საავადმყოფოდან მეორე დღესვე გამწერეს. არანაირი კოგნიტიური დარღვევა არ მაქვს“**, – განაცხადა მან.

ვიდეოში ჩანს თუ როგორ თამაშობს კაცი ჭადრაკს ნოუტბუკზე – ის ფიგურებს დაფაზე კურსორით



მხოლოდ აზრის ძალით ამოძრავებს. არბომ თქვა, რომ უყვარს ჭადრაკი და ვიდეოთამაში Civilization VI, რომელიც უბედური შემთხვევის შემდეგ არ უთამაშია.

არბომ ასევე აღნიშნა, რომ ტექნოლოგია არ არის იდეალური და ტესტირების დროს ის და Neuralink-ის გუნდი არაერთ პრობლემას შეეჯახნენ. **„არ მინდა ხალხმა იფიქროს, რომ ეს გზის დასასრულია. წინ კიდევ ბევრი საქმეა, მაგრამ ამან ჩემი ცხოვრება უკვე შეცვალა“**, – განაცხადა არბომ.

რამდენიმე თვის წინ ცნობილი გახდა, რომ Neuralink-ი 2024 წელს ტვინში იმპლანტების ჩასანერგად 11 ოპერაციის ჩატარებას გეგმავს.

# კისერმოტეხილი ჟირაფი ვერ გადაარჩინეს



**აშშ-ში, მაიამის ზოოპარკში პატარა ჟირაფი მოკვდა. ჟირაფი სულ რამდენიმე თვის იყო – ის შარშან 15 დეკემბერს დაიბადა. ცხოველის გაკვეთისას აღმოჩნდა, რომ მას კისერი ჰქონდა მოტეხილი. ზოოპარკის წარმომადგენლები განმარტავენ, რომ ჟირაფმა ტრავმა ღამე მიიღო და არავინ იცის, რა მოხდა ზუსტად, თუმცა ვარაუდობენ, რომ ცხოველს რაღაცის შეეშინდა და ღობეს შეეჯახა, რამაც სასიკვდილო ტრავმა გამოიწვია.**

მაიამის ზოოპარკის თანამშრომლები ახლა სხვა ჟირაფების მდგომარეობას ყურადღებით აკვირდებიან, თუმცა ამ ეტაპზე მათ ქცევაში რაიმე გადახრა არ დაფიქსირებულა.

# 85 წლის სააღდგომო კვერცხი... აუქციონზე



**ეს უნიკალური კვერცხი 1939 წელს სიბილ კუკს უყიდეს, რომელიც უელსში, ქალაქ ნიტში ცხოვრობდა. ბიძამ, რომელიც ფიქრობდა, რომ მეორე მსოფლიო ომის გამო ქვეყანაში შოკოლადის დეფიციტი იქნებოდა, 9 წლის გოგოს ურჩია ტრადიციული სააღდგომო ტკბილეული რამდენიმე კვირაზე გადაენაწილებინა.**

თუმცა სიბილს კვერცხი საერთოდ არ გაუხსნია და მას ორიგინალურ შეფუთვაში სიცოცხლის ბოლომდე ინახავდა. ქალი 2021 წელს, 91 წლისა გარდაიცვალა. კვერცხის გაყიდვა მისმა შვილებმა გადაწყვიტეს. ლოტი მხოლოდ 200 გირვანქა სტერლინგად გაიყიდა, თუმცა სპეციალისტები მის სავარაუდო ფასად 300-500 გირვანქას ასახელებდნენ.

# ბუნკერში გადამალული ელექტროსიგარეტები

**უელსის ხელისუფლებამ მეორე მსოფლიო ომისდროინდელ მიტოვებულ ბუნკერში დამალული არალეგალური ელექტროსიგარეტების („ვაიპების“) უზარმაზარი საწყობი აღმოაჩინა.**

ქალაქ სუონსიში მოწყობილ სამალავს მაშინ მიაგნეს, როდესაც საქალაქო საბჭოს სავაჭრო სტანდარტების დაცვის თანამშრომლებმა ერთ-ერთ ადგილობრივ მაღაზიაში ჩხრეკა ჩაატარეს. საქალაქო საბჭოს წარმომადგენელთა თქმით, პოლიციელებმა, სპეციალურად გაწვრთნილი, თამბაქოსა და „ვაიპებზე“ დაგეშილი ძაღლების გამოყენებით, შენობა მას შემდეგ გაჩხრიკეს, რაც სავაჭრო ობიექტი არალეგალური „ვაიპებისა“ და ფალსიფიცირებული თამბაქოს გაყიდვაში დაადანაშაულეს. ჩხრეკამ ისინი შენობის ეზოში მიიყვანა, სადაც მეორე მსოფლიო ომისდროინდელ მიტოვებულ ბუნკერში ათასობით არალეგალური ელექტროსიგარეტი აღმოაჩინეს. საბჭოს განცხადებით, ეს იყო „არალეგალური „ვაიპების“ რეალიზების წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლის“ ერთ-ერთი ეპიზოდი, ამ ოპერაციამდე კი სავაჭრო სტანდარტების დაცვის თანამშრომლებმა ლონდონში 1,5 მილიონ ფუნტზე მეტი ღირებულების არალეგალური „ვაიპები“ აღმოაჩინეს.

სუონსის საქალაქო საბჭოს სავაჭრო სტანდარტების დაცვის ჯგუფის ხელმძღვანელი, რის ჰარისი ამბობს: „დაინტერესებული მომხმარებლების მიერ ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაცია გვეხმარება, თვალყური ვადევნოთ იმ მეწარმეებს, რომლებიც არალეგალურ „ვაიპებსა“ და თამბაქოს ყიდიან...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 27 მარტს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7000; ევრო - 2.9214;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3974;
100 რუბლი - 2.9277; თურქული ლირა - 0.0844;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5884;
1000 სომხური დრამი - 6.7788

**ამინდი 25 მარტისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +2, | დღე +14 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –2, | დღე +12 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +2, | დღე +19 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –1, | დღე +14 |
| თბილისი: | ღამე | +6, | დღე +13 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge